ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

დიმიტრი შავლოხაშვილი

ევროსკეპტიციზმი თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებაში

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების
ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სანდრო ტაბატაძე
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
მოწვეული ლექტორი

თბილისი 2023

ანოტაცია

საბაკალავრო ნაშრომი იკვლევს პარტიულ და საზოგადოებრივ ევროსკეპტიციზმს საქართველოში 2021-2023 წლებში, კერძოდ, 2021 წლის შარლ მიშელის შეთანხმებიდან დღემდე. ნაშრომის მიზანია, იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენა, რამაც პარტიულ თუ საზოგადოებრივ სივრცეში, აღნიშნული ევროსკეპტიკური განწყობების წარმოქმნა და მისი შემდგომი განვითარება განაპირობა. კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ სიღრმისეული ინტერვიუები, საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის და დოკუმენტების ანალიზის მეთოდი. კვლევა ცდილობს, შჩერბიაკისა და ტაგარტის (2003) „რბილი“ და „ხისტი“ ევროსკეპტიციზმის თეორიის დახმარებით ახსნას საქართველოში არსებული ევროსკეპტიციზმის სახეები პარტიულ სივრცესა და საზოგადოებაში. გამოიყო ორი შემდეგი ორი ჰიპოთეზა: პირველი - საქართველოში ვლინდება არაევროსკეპტიკური და რბილად ევროსკეპტიკური პარტიები. მეორე - რაც უფრო ევროსკეპტიკურ განცხადებებს აკეთებს პარტია, მით უფრო ევროსკეპტიკურია მისი ამომრჩეველი. ამრიგად, ნაშრომი ფოკუსირებულია, რომ კვლევის მიხედვით დაამტკიცოს ან უარყოს აღნიშნული ჰიპოთეზები. კვლევა არის სიახლე იმდენად, რამდენადაც მოცემული თემის შესახებ ქართული აკადემიური წყაროები ფაქტობრივად არ არსებობს. საბაკალავრო ნაშრომი არის მცდელობა, გარკვეული სიახლე შემატოს და ზოგადი ცოდნით გაამდიდროს არსებული აკადემიური სფერო.

საკვანძო სიტყვები: პარტიული ევროსკეპტიციზმი, საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმი, რბილი ევროსკეპტიციზმი, ხისტი ევროსკეპტიციზმი.

სარჩევი

შესავალი....4

I თავი. ევროსკეპტიციზმი და მისი ამხსნელი თეორიები....10

თავი 1.1 პარტიული ევროსკეპტიციზმი და მისი ტიპოლოგიები....10

1.2 საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმის ამხსნელი თეორიები....17

II თავი. პარტიული და საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმის ანალიზი საქართველოში....20

2.1 პოლიტიკური ელიტის ევროსკეპტიციზმი საქართველოში: კონტენტ-ანალიზი..20

2.2 საზოგადოებრივი და პარტიული ევროსკეპტიციზმის საქართველოში: კროსტაბულაციური ანალიზი....28

III თავი. საზოგადოებრივი და პარტიული ევროსკეპტიციზმი საქართველოში - ექპერტთა შეფასებები....34

დასკვნა....42

გამოყენებული ლიტერატურა....44

დანართი N1....50

დანართი N2....50

შესავალი

ევროკავშირი, როგორც ცნობილია, სათავეს 1950-იანი წლებიდან იღებს, თავდაპირველად 1951 წელს ევროპის ფოლადისა და ქვანახშირის გაერთიანება ჩამოყალიბდა, ხოლო შემდეგ 1958 წელს ევროპის ეკონომიკური გაერთიანება (Meunier & Namara,2007). თავდაპირველად ევროკავშირის მიმართ დადებითი დამოკიდებულება არსებობდა, რაზეც მისი გაფართოებებიც მეტყველებს. თუმცა, ევროპული ინტეგრაციის მიმართ თანდათან უარყოფითი დამოკიდებულება გაჩნდა. ყველაზე მეტად, დიდი ბრიტანეთი აქტიურობდა, რასაც ლეიბორისტული პარტიის დეპუტატის, ტონი ბენის 1975 წელს წარმოთქმული სიტყვებიც კარგად ასახავს - „ჩემი შეხედულება ევროკავშირის შესახებ ყოველთვის იყო არა! არა იმიტომ რომ მე მტრულად ვარ განწყობილი უცხოელების მიმართ, არამედ იმიტომ, რომ მე ვარ დემოკრატიის მომხრე. მე ვფიქრობ, რომ ისინი იქ აშენებენ იმპერიას და მათ უნდათ, რომ ჩვენც მათი იმპერიის ნაწილი ვიყოთ და მე არ მინდა ეს“ (Benn,1975).

ევროსკეპტიკური დამოკიდებულებები ახალი არ არის, ვინაიდან მისი განმაპირობებელი რამდენიმე მოვლენა ჯერ კიდევ 2004 წელს, ევროკავშირის გაფართოებისას გამოიკვეთა, როდესაც წევრ ქვეყნებს ათი ახალი სახელმწიფო და დაახლოებით 75 მილიონი მაცხოვრებელი დაემატა. (Zaiceva & Zimmermann,2016) უკმაყოფილება ევროკავშირის მიმართ გაიზარდა, რადგან გაფართოებაში მოყვნენ აღმოსავლეთ ევროპის რიგი ქვეყნები, რომლებიც ტერიტორიულად ახლოს იყვნენ არაწევრ ქვეყნებთან. შედეგად შიში, რომ გაიზრდებოდა მიგრანტა რიცხვი მატულობდა. შემდეგი ეტაპი 2008 წლის ეკონომიკური კრიზისი იყო, როდესაც ეკონომიკურმა რეცესიამ წარმოუდგენელ მაქსიმუმს მიაღწია (European Commision, 2009). სწორედ ამ პერიოდში, საბერძნეთს თავს დაატყდა ის დიდი ეკონომიკური კრიზისი, რომლის დროსაც წევრ ქვეყნებს, მათ შორის გერმანიას, საბერძნეთისთვის საკმაოდ დიდი ეკონომიკური დახმარების გაწევა მოუწიათ. აღნიშნულმა ფაქტმა, გერმანიის ულტრანაციონალისტურად განწყობილ პარტიებში, უკმაყოფილება გამოიწვია მაგალითად პარტია „ალტერნატივა გერმანიისათვის“ -ში. (Mylonas,2012).

რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორებმა თავისთავად ის მოვლენა გამოიწვია, რომელიც ევროპაში მიგრანტთა კრიზისის სახელითაა ცნობილი, როდესაც ევროპამ სირიიდან და სხვა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნიდან მილიონობით მიგრანტი მიიღო (Dragostinova, 2016). ხოლო, ისეთმა მოვლენამ, როგორიცაა, მაგალითად დიდი ბრიტანეთის „ევროკავშირიდან" გამოსვლა, უამრავი კითხვა გააჩინა და სწორედ აღნიშნულს, საკმაოდ სწორადაც, ბევრი ადამიანი ევროსკეპტიციზმის ტრიუმფად აღიარებს (Koller, Kopf & Miglbauer,2019).

საკითხი მით უფრო **აქტუალურია**, როდესაც საქართველოში მომძლავრებული არიან ულტრამემარჯვენე ჯგუფები, რომლებიც ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ სივრცეში ავრცელებენ ანტი-მიგრანტულ რიტორიკას, (სადუნიშვილი,2019) რაც ევროსკეპტიკურ განწყობებს კიდევ უფრო ამძლავრებს და ხელს უშლის საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს. ასევე საინტერესოა ქართული პოლიტიკური პარტიების განწყობები შარლ მიშელის მიერ 2021 წლის 19 აპრილს გაფორმებულ შეთანხმებასთან (EEAA,2021) დაკავშირებით. საინტერესოა, რამდენად შესრულდა აღნიშნული შეთანხმება და რა განცხადებებს ავრცელებენ ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები მასთან დაკავშირებით. საინტერესოა, პოლიტიკურ პარტიებზე ევროპული საბჭოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის არ მინიჭების თაობაზე რამდენად იმოქმედა (რადიო თავისუფლება,2022) და იმოქმედებს ის საქართველოსა და ევროკავშირის სამომავლო ურთიერთბებზე. საგულისხმოა, რომ ზოგადი და პარტიული ევროსკეპტიციზმის შესწავლა, არც ისე ნაცნობია ქართულ აკადემიურ სივრცეში და ქართულენოვან სფეროში, საერთოდ რთულია მისი პოვნა, თუმცა გვაქვს მნიშვნელოვანი სტატია - „Party-Based Euroscepticism: The Case of Georgia" ჟურნალ „The Journal of Post-Soviet Democratization" -ში. რომელშიც საქართველოში პარტიული ევროსკეპტიციზმის გამომწვევი ფაქტორებია ახსნილი.

კვლევის მიზანია - პარტიული და საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმის თავისებურებების შესწავლა თანამედროვე საქართველოში. კვლევის მიზნიდან გამომდინარე შემდეგი **ამოცანები** ჩამოყალიბდა:

- წარმოდგენილი საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის შესწავლა და გაანალიზება.
- ყველა იმ მეორეული წყაროს შესწავლა და დამუშავება, რომელიც შეეხება არსებულ საკითხს.
- სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება დარგის ექსპერტებთან.
- შედეგების წარმოდგენა და განზოგადება.

აღნიშნული ნაშრომის **კვლევის ობიექტებს** საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები და მათი წევრები წარმოადგენენ. ასევე კვლევის ობიექტებია, საზოგადოებრივი აზრის კვლევითი ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, რომლებიც საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმის კვლევისათვის, მნიშვნელოვან მონაცემებს წარმოადგენს. კვლევის მიზნისა და ამოცანების შესაბამისად, ჩამოყალიბდა **კვლევის კითხვები:**

1 - რა თავისებურებებით ხასიათდება პარტიული ევროსკეპტიციზმი თაანამედროვე საქართველოში?

2 - როგორ უკავშირდება საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმი პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერას თანამედროვე საქართველოში? შესაბამისად კვლევის **პირველი ჰიპოთეზაა** - საქართველოში ვლინდება არაევროსკეპტიკური და „რბილად" ევროსკეპტიკური პარტიები. ხოლო, რაც შეეხება **მეორე ჰიპოთეზას,** შემდეგნაირად ჩამოყალიბდა – რაც უფრო ევროსკეპტიკურ განცხადებებს აკეთებს პარტია, მით უფრო ევროსკეპტიკურია მისი ამომრჩეველი.

რაც შეეხება ცვლადების **კონცეპტუალიზაციასა** და **ოპერაციონალიზაციას**, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ევროსკეპტიციზმის საყოველთაოდ მიღებული დეფინიცია არ არსებობს, თუმცა, ტაგარტისა და შჩერბიაკის (2003) აზრით, ევროსკეპტიციზმი ესაა, კრიტიკა და ნეგატიური დამოკიდებულება ევროკავშირისა და მასში ინტეგრაციის მიმართ, რომელიც შეიძლება ახასიათებდეს, როგორც წევრი, ისე არაწევრი ქვეყნების წარმომადგენლებს. იგი არის ერთგვარი იდეური ან კვალიფიციური ოპოზიცია ევროინტეგრაციისა და ევროკავშირის ამჟამინდელი მდგომარეობის მიმართ (Taggart & Szczerbiak, 2003).

არსებული საბაკალავრო ნაშრომის **თეორიულ ჩარჩოდ** გამოყენებულია ტაგარტისა და შჩერბიაკის (2003) Theosing Party-Based Euroscepticism:Problems Of Definition, Measurement And Causality - ნაშრომი. ვინაიდან და რადგანაც, ავტორები პარტიების ორ ძირითად კატეგორიას გამოყოფენ, ეს კატეგორიებია - „ხისტი“ და „რბილი“ ევროსკეპტიციზმი. თეორია საშუალებას მოგვცემს გავიგოთ და გაავანილიზოთ, თუ რა თავისებურებებით ხასიათდება საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში არსებული ევროსკეპტიციზმი და შესაბამისად მივაკუთვნოთ ისინი „რბილი“ ან „ხისტი“ ევროსკეპტიციზმის პარტიულ ტიპებს. „რბილ ევროსკეპტიციზმში“ საერთო ევროპული პოლიტიკის გარკვეული ასპექტების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება იგულისხმება. „ნაწილობრივი ოპოზიცია“ ორგანიზაციის მიმართ, გრძნობა იმისა, რომ „ევროკავშირის განვითარების ტრაექტორია და მოდელი“ ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულ ინტერესს არ შეესაბამება. „რბილი“ ევროსკეპტიკოსები ევროკავშირის დატოვებას არ ემხრობიან, მაგრამ, არც შემდეგი ინტეგრაციის მიმართ ავლენენ დადებით დამოკიდებულებას. მიუხედავად ამისა, ღიად უარყოფენ ევროკავშირის გარკვეულ ასპექტებს ისეთებს, როგორიცაა: მიგრაციის მაჩვენებელი, ევროკავშირის ვალუტა, ეკონომიკური პოლიტიკა და ცვლილებებს მოითხოვენ.

ხოლო, „ხისტი“ ევროსკეპტიციზმი, ევროკავშირისა და ევროპული ინტეგრაციის მიმართ „პრინციპული ოპოზიცია“-ის არსებობით განისაზღვრება და იმ პოლიტიკურ პარტიებს აერთიანებს, რომლებიც თვლიან, რომ მათმა ქვეყანამ ევროკავშირი უნდა დატოვოს, შესაბამისად ყოველგვარ პოლიტიკას იქნება ეს ეკონომიკური თუ პოლიტიკური მკაცრად ეწინააღმდეგებიან. ასევე ევროკავშირი მათთან უარყოფითი ღირებულებების მატარებლად წარმოჩინდება. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე საინტერესოა, რომელ ტიპს მიეკუთვნებიან ის ქართული პარტიები, რომლებიც პოლიტიკურ დღის წესრიგს ქმნიან, ან გარკვეული წვლილი შეაქვთ მის განხორციელებაში.

რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიას, კვლევისას თვისებრივი კვლევის ორი **მეთოდია** გამოყენებული: დოკუმენტების ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუ. განხილულია, როგორც აკადემიური ნაშრომები, ასევე სხვადასხვა სტატია, კვლევის

ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. რომლებიც საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებისთვისაა საჭირო. კვლევის ხასიათიდან გამომდინარე, შერჩეულ იქნა არაალბათური მიზნობრივი **შერჩევის** ტიპი, რომლის მეშვეობითაც მოხდა „კავკასიის ბარომეტრის“ მონაცემთა ბაზების შესწავლა. კვლევისათვის 3 ქართული ონლაინ გამოცემა შეირჩა - “Publika.ge”, “Netgazeti.ge”, “Ipn.ge”. კვლევის ფარგლებში შესწავლილია აღნიშნული ონლაინ გამოცემების მიხედვით, 2021 წლიდან 2023 წლის 1-ელ ივნისამდე, ქართული პოლიტიკური პარტიების განცხადებები ევროკავშირთან მიმართებით. შეირჩა 7 ექსპერტი, რომლებთანაც **ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუს** სახით (იხილეთ დანართი N2) პირისპირი ინტერვიუები ჩატარდა. კვლევაში შემდეგი ორგანიზაციის ექსპერტ-ანალიტიკოსებმა მიიღეს მონაწილეობა - „ქარულ-ევროპული ინსტიტუტი“, „ღია საზოგადოების ფონდი“, „რონდელის ფონდი“, „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი“ (იხილეთ დანართი N1).

თითოეულ შემთხვევაში, რესპონდენტებისგან შესაბამისი ინფორმირებული თანხმობაა მიღებული და კვლევის **ეთიკა** დაცულია. პირისპირი ინტერვიუები ჩატარდა 2023 წლის მაისის თვეში. **კვლევის საშუალო ხანგრძლივობა** 30-40 წუთს შეადგენდა, თუმცა ორ შემთხვევაში დაახლოებით 1 საათს გაგრძელდა. კვლევის მიმდინაროებისას შემდეგი **შეზღუდვა** გამოიკვეთა - რამდენიმე ექსპერტმა უცნობი მიზეზის გამო ინტერვიუზე უარი განაცხადა. რა თქმა უნდა, სიღრმისეული ინტერვიუს აუდიოჩანაწერი გაკეთდა რესპოდენტის თანხმობით, რამაც მონაცემების **ტრანსკრიპტის, კოდირების** და **შემდგომ მისი კატეგორიზაციის** საშუალება მოგვცა. გარდა ამისა, გამოყენებულია „კავკასიის ბარომეტრის“ მონაცემთა ბაზებიც, კონკრეტულად, საზოგადოებრივი აზრის კვლევები ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა ევროკავშირში გაწევრიანება და მისდამი ნდობის მაჩვენებელი.

ნაშრომის პირველ თავში ის ძირითადი და მნიშვნელოვანი ლიტერატურაა განხილული, რომელიც არსებობს ევროსკეპტიციზმის მიმართ. განხილულია, როგორც პარტიული ევროსკეპტიციზმის ტიპოლოგიები, ისე ზოგადი და იდეოლოგიური ევროსკეპტიციზმი. უპირველესად აქცენტი შჩერბიაკისა და ტაგარტის (2003)

ნაშრომზე - „Theosing Party-Based Euroscepticism:Problems Of Definition, Measurement And Causality“ -ზე გაკეთდა, რომელიც წარმოადგენს პარტიული ევროსკეპტიციზმის შემსწავლელ ძირითად და ყველაზე აქტუალურ ნაშრომს, რომელსაც ეყრდნობა თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც პარტიულ ევროსკეპტიციზმს სწავლობს. გარდა ამისა, არანაკლებ გამოსადეგია კოპეკისა და მუდეს (2002) ნაშრომი „The Two Sides of Euroscepticism, Party Positions on European Integration in East Central Europe “ - სადაც ავტორები პირველი შემთხვევისგან განსხვავებულ ტიპოლოგიას გვთავაზობენ. ასევე მნიშვნელოვანია სოფია ვასილუპოლოს (2009) - „Varieties of Euroscepticism: The Case of the European Extreme Right“ - ნაშრომი, იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ავტორებს აკრიტიკებს. გარდა პარტიული ევროსკეპტიციზმისა, კვლევისას გაანალიზებულ იქნა ზოგადი და საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმის ტიპოლოგიები, როგორიცაა კრის ფლუდის (2017) ნაშრომი - „The Routledge Handbook of Euroscepticism“.

I თავი. ევროსკეპტიციზმი და მისი ამხსნელი თეორიები

იმისათვის, რათა ევროსკეპტიციზმის ფენომენი ავხსნათ და გავაანალიზოთ საქართველოში, რიგი სამეცნიერო ნაშრომის განხილვა და დაკავშირებაა საჭირო ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების თანამედროვეობასთან. რაც მთავარია, მოცემულ საბაკალავრო ნაშრომში აკადემიური ლიტერატურა არ იქნება მხოლოდ ჩამოთვლილი, არამედ მისი კრიტიკაც იქნება წარმოდგენილი.

თავი 1.1 პარტიული ევროსკეპტიციზმი და მისი ტიპოლოგიები

პარტიაზე დაფუძნებული ევროსკეპტიციზმის კვლევა და გაანალიზება მეცნიერებისა და მეცნიერთათვის ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან არაერთი ტიპოლოგია არსებობს და თითოეული აღნიშნულ ტერმინს თავისი პრიზმიდან უყურებს. რა თქმა უნდა, ისინი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ვინაიდან მათთვის დამახასიათებელი კონკრეტული ნიშან-თვისებები აქვთ, თუმცა გარკვეული გადაკვეთებიც არის. ევროსკეპტიციზმის ყველაზე მეტად გავრცელებულ ტიპოლოგიას ტაგარტი და შჩერბიაკი გვთავაზობენ საკუთარ ნაშრომებში ჯერ - „Parties, Positions and Europe: Euroscepticism in the EU Candidate States of Central and Eastern Europe“ -ში (2001) ხოლო შემდეგ „Theosing Party-Based Euroscepticism:Problems Of Definition, Measurement And Causality“ -ში (2003). პარტიული ევროსკეპტიციზმის განსაზღვრისა და დიფერენცირებისას „ხისტ“ და „რბილ“ ევროსკეპტიციზმს გამოყოფენ (Taggart & Szczerbiak,2003). „ხისტი“ ევროსკეპტიციზმი, რა თქმა უნდა უფრო რადიკალური ვერსიაა და ევროპული ინტეგრაციის ყველა ფორმას ეწინააღმდეგება, რადგან მათ არ აქვთ სურვილი იყონ ასეთი კავშირის წევრები. ისინი ევროკავშირს, როგორც ეკონომიკური ფაქტორების, ისე პოლიტიკურის გათვალისწინებით ეწინააღმდეგებიან. სწორედ ამიტომ მსგავსი ხედვის მატარებლები მიიჩნევენ, რომ ყველა ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინსტიტუტის დატოვებაა საჭირო. მსგავსი ხედვის რწმენა იმაზეა დაფუძნებული, რომ ევროკავშირი უარყოფითი ღირებულებების მქონე გაერთიანებაა, რომელიც მათ ხედვებთან სრულიად შეუთავსებელია. რაც შეეხება ევროსკეპტიციზმის მეორე ფორმას, „რბილი“ ევროსკეპტიციზმი ისეთი შემთხვევაა, როდესაც პარტიები თვლიან,

რომ მათი ქვეყნის ეროვნული ინტერესები იმ დონით არ არის გათვალისწინებული, როგორც ეს უნდა იყოს. „ხისტი“ ევროსკეპტიზმისგან განსხვავებით, ისინი პირდაპირ არ არიან ევროკავშირში გაერთიანების წინააღმდეგ მიმართულნი. შესაბამისად „რბილი“ ევროსკეპტიკოსები, არათუ არ ეწინააღმდეგებიან ევროკავშირის მომავალ ინტეგრაციას, არამედ არ არც მის დატოვებას ემხრობიან. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არსებულ რეალობას ეგუებიან, სწორედ, რომ „რბილი“ ევროსკეპტიციზმის მატარებლები ეწინააღმდეგებიან არსებულ: სტატუს-ქვოს, მოწყობას, პრაქტიკას და შესაბამის ცვლილებებს მოითხოვენ. რა თქმა უნდა, ეს ცვლილებები თითოეული ქვეყნის ეროვნულ ინტერესთანაა დაკავშირებული. (Taggart & Szczerbiak,2003). მოცემულ ტიპოლოგიას რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი აქვს. ჯერ ერთი, ხშირია შემთხვევა, როდესაც კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას, როგორც „რბილი“, ასევე „ხისტი“ ევროსკეპტიციზმის ნიშან-თვისება გააჩნია და ხდება გადაფარვა. არ არსებობს რაიმე მყარი კონსესუსი, თუ სად უნდა გავავლოთ ზღვარი. აღნიშნული შემთხვევის თვალსაჩინო მაგალითია თურქეთის ულტრანაციონალისტური - „ნაციონალური მოძრაობის“ პარტია, რომელიც, როგორც „ხისტ“, ისე „რბილ“ პოლიტიკურ პარტიადაა მიჩნეული (Gulmez, 2020). ასევე მსგავსი შემთხვევა გვაქვს ჩეხეთში, „ბოჰემიისა და მორავიის კომუნისტური პარტიის“ შემთხვევაში (Gulmez, 2020).

შჩერბიაკმა და ტაგარტმა თავდაპირველად თავიანთი, ტიპოლოგია „ევროკავშირის“ წევრი ქვეყნების პარტიული შეხედულებებიდან გამომდინარე ჩამოაყალიბეს, და ეს ტიპოლოგია ვერ იძლეოდა საშუალებას, რომ იგივე კონტექსტში გვესაუბრა ევროკავშირის არაწევრი, ან წევრობის კანდიდატის მქონე ქვეყნების მიმართ. მაგალითად, „ხისტი“ ევროსკეპტიკოსები უფრო კონკრეტულად ის პარტიები არიან, რომლებიც, საკუთარი ქვეყნის დატოვებას ითხოვენ ევროკავშირიდან, ხოლო არაწევრი ქვეყნის ესა თუ ის პარტია, იგივეს ვერ მოითხოვს, რადგან ფიზიკურად არ არიან ამ კავშირის წევრები. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ისინი ფაქტობრივად პირველები იყვნენ, რომლებმაც წინა პლანზე წამოწიეს თვით „ევროსკეპტიციზმის“ ცნება და თავიანთი ტიპოლოგიით საფუძველი ჩაუყარეს იმ კრიტიკას, რომელმაც ამ ტერმინის განვიათარებასა და გამრავალფეროვნებას დაუდო საფუძველი.

კიდევ ერთი კრიტიკა, რომელიც ამ ტიპოლოგიის მიმართ ხშირადაა, არის მისი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ვინაიდან, იქნება ეს „რბილი“ თუ „ხისტი“ ევროსკეპტიციზმის შემთხვევაში, ავტორები პარტიების მანიფესტებსა და საჯარო გამოსვლებს დაეყრდნენ, რამაც აზრთა სხვადასხვაობამდე შეიძლება მიგვიყვანოს, ვინაიდან, ადამიანს მისი მრავალფეროვნად ინტერპრეტირება შეუძლია და შესაძლოა, ერთი კონკრეტული პარტია საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ „რბილ“, ან „ხისტ“ ევროსკეპტიკოსად იქნას მიჩნეული.

კოპეკმა და მუდემ შექმნეს ტერმინ „ევროსკეპტიციზმის“ ალტერნატიული კატეგორიზაცია, რომელშიც ისინი ევროპული ინტეგრაციის, „დიფუზიურ“ და „სპეციფიურ“ მხარდაჭერას განასხვავებენ (2002). „დიფუზიური“ ტიპი ევროპული ინტეგრაციის ზოგადი იდეების მხარდაჭერას ითვალისწინებდა, ხოლო „სპეციფიური“ კი უკვე ევროინტეგრაციის ზოგადი პრაქტიკის მხარდაჭერას. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ ჩამოაყალიბეს ორგანზომილებიანი ტიპოლოგია, რომელიც ევროკავშირთან მიმართებით პოლიტიკური პარტიების პოზიციას განსაზღვრავს. პირველი განზომილება პარტიების იდეოლოგიურ შეხედულებებთანა დაკავშირებული და მასში „ევროფობები“ და „ევროფილები“ შედიან. ხოლო მეორე განზომილება უფრო სტრატეგიული ხასიათისაა და იმ სავარაუდო სარგებლიანობა/არსარგებლიანობას უკავშირდება, რომელიც ევროკავშირიდან მოდის. რომ ჩავშალოთ ევროინტეგრაციის წინააღმდეგობის (ევროფობები) და მხარდაჭერის (ევროფილები) კრიტერიუმებით გამოავლინეს, პარტიებში ოთხი ტიპის დამოკიდებულება არსებობს ზოგადად ევროპული კავშირის მიმართ, ესენია : „ევროენთუზიასტები“ - რომლებიც ინტეგრაციას ემხრობიან. „ევროპრაგმატისტები“- რომლებიც ევროკავშირში ინტეგრაციას ეწინააღმდეგებიან. „ევროსკეპტიკოსები“ - ევროკავშირში ინტეგრაციას ემხრობიან. „ევროუარმყოფლები“ - რომლებიც ინტეგრაციას ეწინააღმდეგებიან. რა თქმა უნდა, ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, აღნიშნულ ტიპოლოგიასაც თავისი მინუსები აქვს. თუნდაც ის, რომ პრაქტიკულად, თუ არა, თეორიულად მაინც, ყველა ევროსკეპტიკური პარტია ინტეგრაციის მომხრეა. ასევე „ევროპრაგმატისტების“ შემთხვევაშიც მსგავს პრობლემას ვაწყდებით, ვინაიდან ევროკავშირში ინტეგრაციის იდეას უარყოფენ, მიუხედავად

ამისა, ევროკავშირის ამჟამინდელ პოლიტიკას უჭერენ მხარს. „ევროფობები“ ეწინააღმდეგებიან არა ინტეგრაციას, არამედ ნეოლიბერალურ იდეოლოგიას, რომელიც ევროკავშირთან და მასთან ინტეგრაციასთან პირდაპირაა დაკავშირებული, ანუ ერთგვარი იდეოლოგიური დაპირისპირება ჩნდება. „ევროოპონენტები“ მთლიანად ევროკავშირში ინტეგრაციის იდეალს ეწინააღმდეგებიან. „ევროენთუზიასტები“ ინტეგრაციას ემხრობიან, ასევე უფრო ძლიერ ევროპულ ფედერაციას უჭერენ მხარს, „ევროპრაგმატისტები“ ევროინტეგრაციას ეწინააღმდეგებიან, მაგრამ ამტკიცებენ, რომ ევროკავშირი მრავალფუნქციური ქმნილებაა და ბოლოს „ევროსკეპტიკოსები“, რომლებიც ინტეგრაციას მხარს უჭერენ, მაგრამ არა მის განხორციელებას ევროკავშირის ამჟამინდელი ინსტიტუტების მეშვეობით. ამ მოდელში ტერმინი „ევროსკეპტიკოსი“ გარკვეულწილად უფრო ვიწროა, ვიდრე ჩვეულებრივ გამოყენებაში და, შესაბამისად, უფრო ზუსტი და ეხება ევროკავშირის კრიტიკის კონკრეტულ კატეგორიას, რაც სხვა ტიპოლოგიებთან მიმართებით უპირატესობას წარმოადგენს (kopecky & mudde, 2002). თუმცა აღნიშნული, რომ იდეალური ტიპოლოგია ნამდვილად არაა, ამაზე მიუთითებს, ის კონცეპტუალური, პრობლემები, რომლებიც „ევროსკეპტიკოსებსა“ და „ევროპრაგმატისტებთან“ მიმართებით არსებობს. თეორიულად იმის დამტკიცებაა შესაძლებელი, რომ „ევროსკეპტიკოსები“ თანამშრომლობის იდეას ევროპულ დონეზე ემხრობან, მაგრამ არა ევროკავშირის ფორმატში. მაგალითად, ევროკავშირის დონეზე კონფედერაციის შექმნას ემხრობიან მაგრამ, ამ ანალიზს სიზუსტე არ აქვს, მიმდინარე ინტეგრაციის პროცესის რომელ ნაწილებს ეწინააღმდეგებიან ისინი. გარდა ამისა, ავტორების მნიშვნელოვანი ნაკლოვანებაა „ევროპრაგმატიკოსებთან“ მიმართებით, რადგან „ევროპრაგმატულად“ განწყობილი პოლიტიკური პარტიები ეწინააღმდეგებიან ინტეგრაციას, როგორც პროექტს და მხარს უჭერენ არსებულ ტრაექტორიას, ეს მართლაც ურთიერთგამომრიცხავ მოცემულობას წარმოადგენს.

კოპეკისა და მუდეს გარდა, შჩერბიაკისა და ტაგარტის ტიპოლოგიას, მეტად ბუნდოვნად მიიჩნევს, სოფია ვასილუპოლო (Vasilopoulou,2009). მისი, სამგანზომილებიანი ტიპოლოგია, „უარმყოფელ“, „პირობით“ და „კომპრომისულ“ პარტიულ ევროსკეპტიციზმს აერთიანებს. უარმყოფელი ევროსკეპტიციზმი, საერთო

ისტორიულ, რელიგიურ და კულტურულ მახასიათებლებს აღიარებს, თუმცა, რადიკალურად ეწინააღმდეგება, რაიმე სახის საერთო ინსიტუციურ წესრიგსა და „მეტი ევროპის“ იდეას. ასევე, რაიმე სახის ტრანსეროვნულ კავშირს. იქნება ეს ეკონომიკური, თუ სხვა სახის. „უარმყოფელი“ ევროსკეპტიკოსების მთავარი მიზანია ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა და გარე ფაქტორების ზემოქმედებისაგან დაცვა. მათ სურთ, ეროვნული სუვერენიტეტის გაძლიერებითა და აღდგენით სრული კონტროლი დაამყარონ ეკონომიკაზე, რაც საშუალებას მისცემს ქვეყნის მოსახლეობას შეიქმნას ცხოვრების უკეთესი პირობები. „უარმყოფელი“ ტიპის პარტიების აზრით, ყველა სახის პოლიტიკა ქვეყნის შიდა დონეზე უნდა განიხილებოდეს, მხარს უჭერენ ევროკავშირიდან გასვლას ძლიერი ანტისუპრანაციონალიზმისა და ეროვნული თვითგამორკვევის რიტორიკის გამოყენებით. ისინი ევროკავშირისთვის ძალაუფლების გადაცემას და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადაცემას ეწინააღდეგებიან. ამ ტიპოლოგიის ნათელი მაგალითია „ბრიტანეთის ნაციონალისტური პარტია“ და „გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტია“, რომლებიც ბრიტანეთის ევროკავშირისგან გამოყოფის პოლიტიკაში აქტიურად მონაწილეობდნენ. „პირობითი“ ევროსკეპტიციზმი, ასევე საერთო რელიგიურ, კულტურულ იდენტობას აღიარებს და ყველა სახის ტრანსნაციონალური ორგანიზების პრინციპს უარყოფს. იგი ეროვნულ სუვერენობაზე აკეთებს აქცენტს, თუმცა, „უარმყოფელი“ ევროსკეპტიციზმისგან განსხვავებით, აღიარებს, რომ ევროპის სახელმწიფოებს შორის გარკვეული თანამშრომლობა აუცილებელია. ისინი კონფედერაციული ტიპის თანამშრომლობას ეთანხმებიან კონკრეტულ პოლიტიკაზე, სადაც თითოეული ქვეყნის ეროვნული ინტერესი იქნება დაცული. რაც შეეხება „კომპრომისულ“ ევროსკეპტიციზმს, ამ სამი ტიპოლოგიიდან ყველაზე მეტად „რბილია“ და როგორც რელიგიურ და კულტურულ იდენტობას, ასევე ინტეგრაციის პრინციპსა და უკვე არსებულ პრაქტიკას აღიარებს. ამ ტიპის პარტიებმა გარკვეულწილად თავიანთი პოზიცია დათრგუნეს და აღიარებენ, რომ ძალაუფლების გარკვეული ნაწილი ზენაციონალურ დონეზე გადადის . ისინი ინტეგრაციის მომხრენი არიან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეკონომიკურ პოლიტიკას ეხება და მხარს უჭერენ, რომ ევროკავშირი უნდა არსებობდეს ისეთი, როგორიც არის, მაგრამ ასევე

უნდა ცდილობდეს უზრუნველყოს სარგებლობა ეროვნული ინტერესებისთვის მისი ინსტიტუტების მეშვეობით. ამ ტიპის პარტიები, მართალია, მზად არიან „ითამაშონ ამჟამინდელი თამაშის წესებით“, მაგრამ იგი რადიკალურად ეწინააღმდეგებიან მის სამომავლო მშენებლობას. (Vasilopoulou,2009). ერთი შეხედვით, ეს ტიპოლოგია საკმაოდ კარგად ასახავს იმას, თუ ესა თუ ის პარტია, როგორ შეიძლება მივაკუთვნოთ ერთ კონკრეტულ ტიპოლოგიას, ვინაიდან აღნიშნული კატეგორიებისადმი მიკუთვნება ხდება პარტიების მანიფესტებისა და პროგრამების მიხედვით. თუმცა, მისი მთავარი მინუსი ისაა, რომ აქცენტი გაკეთებულია არა უშუალოდ ევროკავშირსა და მის პოლიტიკაზე, არამედ მთელი რიტორიკა მიპყრობილია ეროვნულ ინტერესებსა და სახელმწიფოს სუვერენიტეტზე, თუ რა ზიანს აყენებს ევროპული ინტეგრაცია ქვეყნის სუვერენიტეტს. შესაბამისად, ის არ შეგვიძლია ჩავთვალოთ იდეალურ ტიპოლოგიად.

კრისტოფერ ფლუდი (2002) ევროსკეპტიციზმს განსაზღვრავს, როგორც ეჭვისა და უნდობლობის გამოხატვას ევროკავშირისა და მასში ინტეგრაციის მიმართ. მისი ტიპოლოგია შეგვიძლია სკალაზე გამოვსახოთ და მივანიჭოთ რიცხვები ერთიდან ექვსამდე. სკალის სათავეში აღმოჩნდებიან ინტეგრაციის მომხრეები, რომელთაც „მაქსიმალისტებს“ უწოდებენ, ხოლო მის საპირისპიროდ არიან „ანტი-ევროპელები“ რომლებიც ინტეგრაციის მოწინააღმდეგეებად გვევლინებიან. მათ შორის კიდევ ოთხი ტიპის მიმდინარეობაა. „რევიზიონისტები“, რომლებიც ინტეგრაციას უარყოფენ და მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის სტრუქტურა მაასტრიხტის შეთანხმებამდე არსებულ სიტუაციას უნდა დაუბრუნდეს. „მინიმალისტები“, იმ შეხედულების პარტიები არიან, რომლებიც ევროკავშირის ამჟამინდელ მდგომარეობას ეთანხმებიან, თუმცა მის მომდევნო გაფართოებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. „გრადუალისტები“, რომლებიც კავშირის გაერთიანებას არ ეწინააღმდეგებიან, თუმცა მიიჩნევენ, რომ ეს ყველაფერი უნდა ნაბიჯ-ნაბიჯ, გონივრულ ვადებსა და ყველანაირი აჩქარების გარეშე განხორციელდეს, და ბოლოს „რეფორმისტები“, რომლებსაც სახელიდანვე გამომდინარე არსებული რეალობის ამოტრიალება და შეცვლა სურთ, ოღონდ კონკრეტული ქმედებები გათვალისწინებული არ არის. (Flood, 2002). მოცემულ ავტორს, სურდა დაემუშავებინა და განევრცო შჩერბიაკისა და ტაგარტის (2003)

ტიპოლოგია და ამიტომ ორი „რბილ“ და „ხისტ“ ევროსკეპტიციზმთან ახლოს მდგარი დაყოფა აიღო და შუალედური ე.წ. „ზომიერი ევროსკეპტიციზმი“ დაამატა. რა თქმა უნდა, რთულია ზომიერი არგუმენტებით ისაუბრო ისეთ საკითხზე, როგორიც ევროსკეპტიციზმია. ასევე, ფლუდმა იმდენად მკვეთრი დაყოფა შემოგვთავაზა, რომ რთულია არ გააკრიტიკო. მიუხედავად იმისა, რომ ტიპოლოგიამ ყველა ის კონკრეტული მახასიათებელი წარმოადგინა, რომელიც ამა თუ იმ ტიპის პარტიას უნდა გააჩნდეს. ამ ყველაფრის პრაქტიკაში განხორციელებას, სწორედ ეს სიმკვეთრე უშლის ხელს. არც ცნებებია იმდენად მოქნილი, რომ პრაქტიკაში გამოვიყენოთ, მითუმეტეს, რომ არც ერთი მათგანი, სხვა შემთხვევების მსგავსად არ გულისხმობს ევროპული ცივილიზაციის, კულტურისა და სხვა იმ ელემენტების უარყოფას, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვიხმაროთ სიტყვა „ევროსკეპტიციზმი“, არამედ ხშირ შემთხვევაში, ნეიტრალურ შთაბეჭდილებას ქმნის და წარმოგვიდგება, როგორც უბრალოდ პარტიული, იდეოლოგიური დაპირისპირება. რაც მთავარია, ამ ტიპოლოგიის მთავარი პრობლემა იმაშია, რომ ავტორი ტერმინ „ევროსკეპტიციზმს“, არ იყენებს, არამედ საუბრობს ინტეგრაციის მომხრეებსა და უარმყოფელების შესახებ.

პიოტრ კანიოკმა (2009) ზოგადი და პარტიული ევროსკეპტიციზმის ტიპოლოგიების შესწავლისას საკუთარი კატეგორიზაცია შეიმუშავა, რომელიც 3 განზომილებიანია. სამი სახის პარტიული მიკუთვნებულობა გამოყო: „ევროპეისტები“ „ევრომთავრობისტები“ და „ევროსკეპტიკოსები“ (Kaniok,2009). „ევროპეისტები“, ევროპული ინტეგრაციის ზენაციონალური ინტერპრეტაციით ხასიათდებიან და პარტია ზენაციონალური ინსტიტუტების ჩამოყალიბებისკენა მიდრეკილი. „ევროპეისტებს“, ინტეგრაცია ცალსახად დადებით მოვლენად მიაჩნიათ თავად ევროკავშირისათვის, თუმცა, ერისა და პარტიისათვის ისინი სარგებელს ვერ ხედავენ. ამ ტიპის ევროსკეპტიკოსების მთავარ მიზანს ერთიანი ევროპული ფედერაციისა და ერთიანი ევროპული იდენტობის შექმნა წარმოადგენს. „ევრომთავრობისტები“ ინტეგრაციას, როგორც პოლიტიკურ ინსტრუმენტს ისე განიხილავენ და არა, როგორც მიზანს. მათი მთავარი კრიტიკაა ინტეგრაციის არსებული მოდელი. აღნიშნულ ტიპოლოგიას აქცენტი მთავრობათაშორის თანამშრომლობასა და მის ფორმებზე აქვს გაკეთებული. ერთი მხრივ, მათ ესმით ევროპული თანამშრომლობის აუცილებლობა,

თუმცა მეორეს მხრივ, იმ შეზღუდვებსაც იაზრებენ, რომელსაც თანამშრომლობა გამოიწვევს. თანამშრომლობაზე თანხმდებიან საგარეო სფეროში, თუმცა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკას ემხრობიან. მიუხედავად აღნიშნული კრიტიკისა, „ევრომთავრობისტები“ დადებით მხარეებსაც ხედავენ ინტეგრაციის პროცესში, რომელიც ეკონომიკასთანაა კავშირში. განსხვავებით წინა ორი კატეგორიისგან, „ევროსკეპტიკოსები“ ინტეგრაციის არც ერთ ფორმას არ ეთანხმებიან, და რიგ რისკებსა და წარუმატებლობებს ხედავენ მის გაფართოებაში. ისინი, როგორც ევროკავშირისგან წამოსულ ეკონომიკურ „სიკეთეებს“ ასევე პოლიტიკურსაც უარყოფენ, ანუ აღნიშნულ დონეზე, როგორც ევროკავშირი, ისე ინტეგრაციის პროცესი უარყოფით მოვლენადაა განხილული.

კანიოკის ტიპოლოგიის მთავარი კრიტიკა ისაა, რომ დაყოფა არ არის იმდენად მკვეთრი, რომ პარტიები ზუსტად და გაწერილად რომელიმე კატეგორიას მივაკუთვნოთ. ჩნდება რიგი ეჭვებისა, მაგალითად, „ევროპეისტებს“ რომლებიც ინტეგრაციის მომხრენი არიან და ხედავენ მასში, როგორც ეკონომიკურ ისე პოლიტიკურ დადებით მხარეებს, როგორ შეიძლება ინტეგრაციის პროცესი არ მიაჩნდეთ ერისა და პარტიისათვის დადებით მოვლენად. გარდა ამისა, ერთიანი ევროპული იდენტობის ჩამოყალიბება და კონფედერაციის დაარსება, იდეალისტურად გამოიყურება. ასევე, ევრომთავრობისტებს მიაჩნიათ, რომ საჭიროა მხოლოდ საგარეო სფეროში თანამშრომლობა, სწორედ აქ ჩნდება ერთგვარი სირთულე, როგორ შეიძლება მოხდეს მთავრობათაშორისი თანამშრომლობა, ისე რომ არ მოხდეს რიგ შემთხვევებში საშინაო პოლიტიკაში ჩარევა. ვინაიდან მთავრობათაშორისი თანამშრომლობა რიგ კომპრომისზე წასვლას მოითხოვს, საერთო ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებისას. თანაც, ისინი ინტეგრაციის ამგვარ ვერსიას არ ეთანხმებიან, თუმცა ინტეგრაციის რა ფორმაა მათთვის მისაღები, არც იმას გვთავაზობენ.

1.2 საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმის ამხსნელი თეორიები

მილოტ კნეჟევიჩს (2008) შემოაქვს ევროსკეპტიციზმის ერთგვარი ფორმა, რომელსაც „ევრონიჰილიზმს“ უწოდებს. ეს ტერმინი იმითია მნიშვნელოვანი, რომ არ ეხება უშუალოდ წევრ ქვეყნებს, არამედ აქცენტი იმ ეჭვებსა და უკმაყოფილობებზე

აქვს გაკეთებული, რომელიც გაერთიანების გარეთ ქვეყნებსა და მათ პარტიებში არსებობს. ავტორის მოსაზრებები მეტისმეტად ბუნდოვანია, რადგან ის ერთი მხრივ ამბობს, რომ „გვიყვარდეს ევროპა, თუმცა ვიყოთ კრიტიკული მის მიმართ“. ავტორი დადებითადაა განმსჭვალული ევროპული ცივილიზაციისა და კულტურის მიმართ, თუმცა ევროპული გაერთიანება სხვანაირ კონტურებში წარმოუდგება (knezevic, 2008).

ლუბერმა და შიპერმა (2010) განსაზღვრეს, რომ ევროსკეპტიციზმს ორი განზომილება აქვს: პოლიტიკური და ინსტრუმენტული. პოლიტიკური ევროსკეპტიციზმი ერთგვარ, ეჭვს ნიშნავს, რომლის მიხედვითაც ეროვნული სახელმწიფოების და მათი სუვერენიტეტის ხარჯზე ევროკავშირის იურისდიქციის გაფართოება ხდება, ამაში მთავარ როლს პოლიტიკური ელიტები ასრულებენ. ამ შემთხვევაში მინიმალურია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხალხის მონაწილეობა. კრიტიკა ისაა, რომ როდესაც ელიტები გარკვეულ გადაწყვეტილებაზე შეთანხმდებიან, ისინი რეფერენდუმს გეგმავენ და ამის საპასუხოდ მოსახლეობას სთხოვენ, მხარი დაუჭირონ აღნიშნული საკითხის რატიფიცირებას. რაც შეეხება ინსტრუმენტულ ევროსკეპტიციზმს, ამ შემთხვევაში ძირითადი აქცენტი ეკონომიკურ საკითხებზეა გაკეთებული. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს იმ მიგრანტთა რაოდენობასთან, რომლებიც წევრ ქვეყნებს შორის გადაადგილდებიან (Eftimovski,2013). საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როდესაც აქცენტი სუვერენიტეტის საკითხებსა და ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტაზეა გაკეთებული და ნაკლებადაა საუბარი „ევროკავშირის“ პოლიტიკაზე (Lubber & Scheeper,2010).

არიან ავტორები, რომლებიც „ევროსკეპტიციზმს“ იდეოლოგიურ დონეზე ხსნიან. გაბელი და ჰიქსი მიიჩნევენ, რომ ჯერ კიდევ ისტორიულად მემარჯვენე პარტიები, უფრო მეტად იყვნენ ინტეგრაციის მომხრე, ვიდრე მემარცხენეები. თუმცა დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე მემარჯვენე, ლიბერალური და კონსერვატიული ძალები უფრო ეჭვის თვალით უყურებენ ევროინტეგრაციას, ვიდრე მემარცხენე პარტიები (Gabel & Hix,2007). მიუხედავად ამ მოსაზრებისა, მარკმა და ჰუგსმა ახსნეს, რომ ისინი ვერ ხედავენ რაიმე დამოკიდებულებას ევროინტეგრაციასა და მემარჯვენე-მემარცხენე პარტიების განაწილებას შორის, არამედ უფრო მეტად, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შინაარსისაა თვითონ აღნიშნული პარტია.

ევროსკეპტიკურად უფრო მეტად ტრადიციული ავტორიტარული პარტიები არიან განწყობილი, ვიდრე ლიბერტარიანელები (Marks & Hooghe,2003). პარტიის ევროსკეპტიკურობის მხოლოდ იდეოლოგიიით განსაზღვრა, რთულია. მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში ეს ნამდვილად გართულდება, რადგან პარტიები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ იმაზე საუბარს, თუ რომელი იდეოლოგიური მიმართულების მატარებლები არიან. მათი იდეოლოგიური ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ იმ დეკლარირებული ჩანაწერებით შემოიფარგლება, რომელიც მათ პარტიულ პროგრამებში აქვთ გაწერილი. თანაც შესაძლოა პარტია იყოს მემარჯვენე, თუმცა ისეთ რეგულაციებს აწესებდეს და ისეთ კანონებს ატარებდეს, რომელიც პირდაპირ ლიბერალურ ღირებულებებს ეწინააღმდეგება.

აღნიშნული ნაშრომების შესწავლამ და გაანალიზებამ პარტიულ და საზოგადოებრივ ევროსკეპტიციზმის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. თითოეული ტიპოლოგია საბაზისო ელემენტს წარმოადგენს შეისწავლო ევროსკეპტიციზმის ფენომენი და ნებისმიერი მათგანით ახსნა. მართალია, რომ ნაშრომების უმეტესობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და მასში არსებულ პოლიტიკურ პარტიებისთვისაა დაწერილი, თუმცა ეს ხელს არ გვიშლის, გამოვიყენოთ საქართველოს მაგალითის შემთხვევაში. კვლევა ეყრდნობა პოლიტიკური ევროსკეპტიციზმის შემსწავლელ ავტორებს, ტაგარტსა და შჩერბიაკს და მათ ნაშრომს - „Theosing Party-Based Euroscepticism:Problems Of Definition, Measurement And Causality“ (Taggart & Szczerbiak,2003).

II თავი. პარტიული და საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმის ანალიზი საქართველოში

როგორც კვლევის მეთოდებში აღინიშნა, კვლევისათვის 3 ქართული ონლაინ გამოცემა: „Publika.ge“, „Netgazeti.ge“, „Interpressnews.ge“ შეირჩა. შესაბამის ონლაინ სივრცეში ყველა ის განცხადება იქნა შესწავლილი, რომელიც 2021 წლის 1 იანვრიდან, 2023 წლის 1 ივნისამდე ქართული პოლიტიკური პარტიებისა და მათი წევრების მხრიდან გაკეთდა. შესაბამისად, კვლევის სრულყოფისათვის შეიქმნა ცხრილი, რომელიც ნათლად ასახავს, თუ რომელი ქართული პოლიტიკური პარტია ევროსკეპტიციზმის, რომელ კატეგორიას განეკუთვნება. ცხრილში 12 ქართული პოლიტიკური პარტია და მათი მიკუთვნებულობაა მოცემული შესაბამის ტიპოლოგიასთან. რა თქმა უნდა, შესაბამისობისას ისევ და ისევ, შჩერბიაკისა და ტაგარტის (2003) „რბილი“ და „ხისტი“ ევროსკეპტიციზმის ტიპოლოგია იქნა გამოყენებული. პარტიათა შესაბამისობა, კონკრეტულ ტიპოლოგიასთან პოლიტიკოსთა განცხადებების გაანალიზების შესაბამისად მოხდა.

2.1 პოლიტიკური ელიტის ევროსკეპტიციზმი საქართველოში: კონტენტ-ანალიზი

ტიპოლოგია განმარტება	პარტია	მაგალითი
ხისტად ევროსკესკეპტიკური - ევროპული ინტეგრაციის ყველა ფორმას ეწინააღმდეგებიან, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური და კულტურული კუთხით. „ხისტი“ ევროსკეპტიკოსები თვლიან, რომ ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ეროვნულ სუვერენიტეტს, დემოკრატიას	„ალტ-ინფო“	„საქართველო დასავლეთს ვერ დაეყრდნობა და ეს უბრალოდ ილუზიაა, რადგან უკრაინაც კი არ არის დასავლეთზე დამოკიდებული, დასავლური სახელმწიფოები რუსეთთან ფარული ვაჭრობით სარგებლის მოპოვებას ცდილობენ, ამიტომ საქართველომაც იგივე უნდა გააკეთოს“ (პუბლიკა, 2021). 2022 წლის 2 ივლისს „ალტ-ინფოს“ პარტიის წევრებმა და მხარდამჭერებმა პროტესტის

და კულტურას. მათ ასევე სჯერათ, რომ ევროკავშირი ძალიან ბიუროკრატიული, არაეფექტური და კორუმპირებულია. „ხისტი“ ევროსკეპტიკოსები ხშირად ითხოვენ, მათმა ქვეყანამ დატოვოს ევროკავშირი. მათ ასევე შეუძლიათ მხარი დაუჭირონ ისეთ პოლიტიკას, რომელიც შეასუსტებს ევროკავშირს, როგორიცაა ევროკავშირის ბიუჯეტის შემცირება ან ევროკავშირის კანონმდებლობისათვის ვეტოს დადება. „ხისტი“ ევროსკეპტიკოსები ამტკიცებენ, რომ ევროკავშირი აღარ არის ანგარიშვალდებული თავისი მოქალაქეების წინაშე. „ხისტი“ ევროსკეპტიკოსები ხშირად ასოცირდებიან მემარჯვენე პოპულისტურ პარტიებთან, მაგრამ ისინი ასევე ზოგიერთ მემარცხენე და ცენტრისტულ პარტიებს შორისაც გვხვდება.		უკიდურეს ფორმას მიმართეს და ძალადობრივი გზით ჩამოხიეს და დაწვეს, „ევროკავშირის“ დროშა, რაც ნათლად ასახავს მათ დამოკიდებულებას ევროინტეგრაციის მიმართ (რუსთავი 2,2022). იგივე ქმედებას ჰქონდა ადგილი 2023 წლის 14 მარტს, როდესაც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა და მისმა თანამომხრეებმა კვლავ ჩამოხსნეს და დაწვეს „ევროკავშირის“ დროშა (პუბლიკა, 2023). „ევროპა საქართველოში ცდილობს შეცვალოს და გარყვნას ქართული ოჯახი“ (პუბლიკა, 2022).
რბილად ევროსკეპტიკური - „რბილი“ ევროსკეპტიციზმი არის ისეთი შემთხვევა, როდესაც	„ქართული ოცნება“	„თუმცა, როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელია. 19 აპრილის შეთანხმების ანულირებით, დღეიდან ქვეყანა

პარტიები თვლიან, რომ მათი ქვეყნის ეროვნული ინტერესები იმ დონით არ არის გათვალისწინებული როგორც უნდა იყოს. „ხისტი“ ევროსკეპტიზმისგან განსხვავებით, ისინი პირდაპირ არ არიან ევროკავშირში გაერთიანების წინააღმდეგ მიმართულნი. შესაბამისად „რბილი“ ევროსკეპტიკოსები, არათუ არ ეწინააღმდეგებიან ევროკავშირის მომავალ ინტეგრაციას, არამედ არ ემხრობიან არც მის დატოვებას. ეს არ ნიშნნავს, რომ ისინი ეგუებიან არსებულ რეალობას, არამედ სწორედ, რომ რბილი ევროსკეპტიციზმის მატარებლები ეწინააღმდეგებიან არსებულ სტატუს-ქვოს, მოწყობას პრაქტიკას და მოითხოვენ შესაბამის ცვლილებებს. მათაც ასევე მიაჩნიათ, რომ იგი ზედმეტი ბიუროკრატია არსებობს. მათ აწუხებთ, რომ ევროკავშირს აქვს გარკვეული გავლენა ეროვნულ სუვერენიტეტზე.		დაუბრუნდა კონსტიტუციურ ჩარჩოს და პოლიტიკური პროცესები საქართველოში მოქმედი კონსტიტუციური წესრიგის შესაბამისად გაგრძელდება“ (კობახიძე, 2021). „თუ საზოგადოებას ეუბნებით, არ გვინდა რუსეთი, რადგან ისინი ერევიან ჩვენს სუვერენიტეტში და გვინდა კუბილიუსი, რომელიც ჩვენი უფროსი იქნება, ეს მიუღებელია“ (მაჭარაშვილი,2022). „რეზოლუციას, რომელიც ქართული დემოკრატიისა და მედიის თავისუფლების მტრების - სააკაშვილისა და გვარამიას განთავისუფლებისკენ მოგვიწოდებს არაფერი აქვს საერთო ევროპულ ღირებულებებთან და ასეთ რეზოლუციას, პირდაპირ ვიტყვით, ჩალის ფასი აქვს“ (კობახიძე, 2022). „ევროპარლამენტის რეზოლუცია მოკლებულია სამართლიანობას და მასში მოყვანილია დამახინჯებული „ფაქტები“ (თალაკვაძე, 2022). „თუ საქართველო სტატუსს უსამართლო ვალდებულებებით მიიღებს, ქვეყანამ მასზე უარი უნდა თქვას - სტატუსის მისაღებად ღირსებას ვერ დავთმობთ“ (ხუნდაძე, 2022). „საქართველოს დამოუკიდებლობა კვლავ საფრთხის ქვეშ დადგა! რა განსხვავებაა ჩვენთვის, ვინ იქნება მბრძანებელი, თუკი

		კვლავ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა მოგვიწევს?!“ (ხუნდაძე, 2022). „ტყუილებზე დაფუძნებული ევროპა კი არა, საკუთარი ოჯახი არ მინდა“ (ღუდუშაური, 2022). „კანდიდატის სტატუსი პრაქტიკული თვალსაზრისით არაფერს იძლევა - თითქოს ფულს ნიშნავს“ (კობახიძე, 2022). „სტატუსს, ვიცით, არ გვაძლევენ იმიტომ, რომ საქართველო სანქციებში და ომში არ ჩაერთო“ (კალაძე, 2022). „არსებობს ინტერესი, რომ საქართველო ომში იყოს ჩართული“ (ყაველაშვილი, 2022). „მოვუწოდებ ევროპარლამენტის წევრებს, რომ თავი შეიკავონ გავლენის მოხდენის მცდელობისგან საქართველოს სასამართლოზე“ (პაპუაშვილი, 2022). „ცალკეული ევროპარლამენტარის განცხადებებს ევროპასთან და ევროპულ ღირებულებასთან საერთო არ აქვს - ევროპა და ევროპული ღირებულებები სხვანაირად წარმომიდგენია“ (კალაძე, 2022). „ამ რეზოლუციას თავისი შინაარსიდან გამომდინარე არანაირი ფასი არ აქვს“ (კალაძე, 2022). „ევროპარლამენტის რეზოლუციას ჩალის ფასი აქვს - ჩალას სიმძიმე და წონა ვერ ექნება, როგორც არ უნდა შეფუთო“ (კობახიძე, 2022).

		„ეს კონკრეტული ევროპარლამენტარები არიან სალომე სამადაშვილები და ლევან ხაბეიშვილები, არც მეტი, არც ნაკლები“ (კობახიძე,2023). „სამწუხაროა, რომ ევროპარლამენტის რეზოლუციები იქცა დეზინფორმაციის გავრცელების წყაროდ, რაც ძირს უთხრის ამ ინსტიტუციების მიმართ ნდობას“ (პაპუაშვილი, 2023). „როდესაც სიცრუეზე, სიყალბეზე და კრიმინალების მფარველობაზე პირდაპირი მითითებებით არის საუბარი, ამ რეზოლუციას, რა თქმა უნდა, სერიოზული სახე ვერ ექნება“ (კალაძე,2023). „არ მინდა ევროპა, რომელიც მეუბნება - დამნაშავე უნდა გაუშვა, კონსტიტუცია უნდა დაარღვიო, კანონი უგულებელყო, მართლმსაჯულებაში ჩაერიო, ეს არის ევროპა? - შინაარსობრივ განხილვაში ვერ შემოდიან, მაგრამ მაგიდის აყირავება ეხერხებათ“ (ყაველაშვილი, 2023)
	„პატრიოტთა ალიანსი“	„საქართველომ მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტი უნდა გამოაცხადოს“ (ნეტგაზეთი,2022).
		„საქართველოს ხელისუფლება ქმნის ილუზიას იმის სურვილისა, რომ სურს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება,

		რეალურად კი ცდილობენ ძირშივე მოკვეთონ ნებისმიერი მცდელობა ორმხრივი ურთიერთობების კუთხით და მიიღონ: „მორიგი ქულები“ დასავლელი პარტნიორების წინაშე” (ინაშვილი,2021). „მე ზოგადად ვფიქრობ, რომ საქართველომ უნდა იმეგობროს რუსეთთან და არა იომოს“ (დავით თარხან-მოურავი,2022). ასევე პარტია აპელირებს ღირებულებებზე, რომელსაც ევროპა რყვნის საქართველოში და არა მარტო საქართველოში.
არაევროსკეპტიკური - არაევროსკეპტიციზმი არის პოზიცია ევროინტეგრაციის მიმართ, რომელიც არც სკეპტიკურადაა განწყობილი და არც ეწინააღმდეგება ევროკავშირს და ევროინტეგრაციას. არაევროსკეპტიკოსები თვლიან, რომ ევროკავშირი არის ღირებული ინსტიტუტი, რომელმაც მრავალი სარგებელი	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	პარტიას/ან მის წევრს, არ გაუკეთებია ევროსკეპტიკური განცხადება
	„ევროპული საქართველო“	პარტიას/ან მის წევრს, არ გაუკეთებია ევროსკეპტიკური განცხადება
	„გირჩი“	პარტიას/ან მის წევრს, არ გაუკეთებია ევროსკეპტიკური განცხადება

მოუტანა მის წევრ ქვეყნებს. მათ შეიძლება მხარი დაუჭირონ შემდგომ ინტეგრაციას, მაგრამ ასევე თვლიან, რომ მნიშვნელოვანია ეროვნული სუვერენიტეტისა და დემოკრატიის პატივისცემა.	„გირჩი მეტი თავისუფლება“	პარტიას/ან მის წევრს, არ გაუკეთებია ევროსკეპტიკური განცხადება
	„ლეიბორისტული მოძრაობა“	პარტიას/ან მის წევრს, არ გაუკეთებია ევროსკეპტიკური განცხადება
	„საქართველოსთვის“	პარტიას/ან მის წევრს, არ გაუკეთებია ევროსკეპტიკური განცხადება
	„ლელო“	პარტიას/ან მის წევრს, არ გაუკეთებია ევროსკეპტიკური განცხადება
	„სტრატეგია აღმაშენებელი“	პარტიას/ან მის წევრს, არ გაუკეთებია ევროსკეპტიკური განცხადება
	„მოქალაქეები“	პარტიას/ან მის წევრს, არ გაუკეთებია ევროსკეპტიკური განცხადება

ავტორი:დიმიტრი შავლოხაშვილი

ქართული პოლიტიკური პარტიების განცხადებების შესწავლისას 2021-2023 წლებში, დადგინდა, რომ არსებობს: 1 ხისტად ევროსკეპტიკური პარტია, 2 რბილად ევროსკეპტიკური პარტია, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ჩართულნი არიან პოლიტიკური დღის წესრიგში მათი ევროსკეპტიკური დამოკიდებულებები არ შეიმჩნევა. პარტიული ევროსკეპტიციზმის 4 ძირითადი თავისებურება გამოიყო, ესენია: 1-ეკონომიკური. 2-პოლიტიკური. 3-კულტურული. 4-გეოპოლიტიკური - რომელიც შემდეგნაირად შეგვიძლია ავხსნათ.

ეკონომიკური ფაქტორით გამოწვეული ევროსკეპტიციზმი 2021-2023 წლებში შედარებით ნაკლებად გამოიხატება, თუმცა მაინც არსებობს. 2021 წლის ევროკავშირის

შემოთავაზებულ მაკროსაფინანსო დახმარებაზე უარის თქმა, იყო ეკონომიკური ევროსკეპტიციზმის გამოვლინების ერთგვარი შემთხვევა. პოლიტიკური ფაქტორი არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელიც ყველაზე მეტად „ქართული ოცნების რიტორიკაში“ ჩანს. განცხადებები ცხადჰყოფს, რომ მმართველი პარტია ევროკავშირისა და მისი ინსტიტუტების ჩარევას საქართველოს შიდა პოლიტიკაში უპირისპირდება ამა თუ იმ განცხადებითა და ქმედებით. ყველაზე მეტად ეს სასამართლოსთან მიმართებით ჩანს. ასევე იქმნება ილუზია, რომ არსებობს შიში სახელისუფლებო პარტიის მხრიდან, ძალაუფლების დაკარგვისა, თითქოს ევროკავშირში ინტეგრაციით ქვეყანა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების უნარს დაკარგავს. ფაქტობრივად მათი მხრიდან ეს ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვასთან ასოცირდება. თუმცაღა, ღიად და პირდაპირ არ ეწინააღმდეგებიან ევროკავშირში ინტეგრაციას. კულტურული ფაქტორი ეროვნულ ტრადიციებთან და ღირებულებებთან ასოცირდება, ევროსკეპტიკური პარტიები შიშობენ, რომ ევროკავშირი აიძულებს საქართველოს, აითვისოს დასავლური ღირებულებები და ეს გამოიწვევს ტრადიციული ქართული კულტურის ეროზიას. ევროკავშირს აქვს მტკიცე ვალდებულება, ხელი შეუწყოს დასავლურ ღირებულებებს, როგორიცაა დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა. ზოგიერთი ქართველი შიშობს, რომ ეს ღირებულებები ეწინააღმდეგება ტრადიციულ ქართულ ღირებულებებს, როგორიცაა ოჯახისა და რელიგიის მნიშვნელობა (პუბლიკა,2022). გეოპოლიტიკური ფაქტორი შემდეგნაირად შეგვიძლია ავსხნათ, ევროკავშირში გაწევრიანება დააზარალებს ქვეყნის ურთიერთობას რუსეთთან. ისინი ამტკიცებენ, რომ რუსეთი ევროკავშირს საფრთხედ აღიქვამს და რომ ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს რუსეთის აგრესიის სამიზნე გახდის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ რამდენიმე მიზეზია, რის გამოც ქართული პარტიები ევროსკეპტიზმს განიცდიან. არსებობს მრავალი სხვა ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ევროსკეპტიციზმს საქართველოში და ეს კომპლექსური საკითხია, რომელსაც მარტივი პასუხები არ აქვს.

2.2 საზოგადოებრივი და პარტიული ევროსკეპტიციზმის საქართველოში: კროსტაბულაციური ანალიზი

რაც შეეხება საზოგადოებრივ ევროსკეპტიცზმს, თუ 2021 წლის კავკასიის ბარომეტრის CRRC-ის მიერ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულებების შესახებ ჩატარებულ შინამეურნეობების ყოველწლიური კვლევის შედეგებს დავაკვირდებით, საკმაოდ საინტერესო შედეგებს მივიღებთ, თავდაპირველად განვიხილოთ ამა თუ იმ პარტიის ამომრჩევლები რამდენად ენდობიან „ევროკავშირს", როგორც გაერთიანებას და რომელი პარტიის ამომრჩევლები გამოირჩევიან მისადმი ნდობით, ხოლო შემდგომ განვიხილოთ, თუ რომელი პარტიის ამომრჩეველი რა დოზით უჭერს მხარს მასში გაწევრიანებას, ან რამდენად ევროსკეპტიკურები არიან ისინი.

დიაგრამა N1



წყარო:CRRC Georgia, Caucasus Research Resource Center, 2021.

დიაგრამაზე ჩანს, რომ საზოგადოების იმ ნაწილის ვისი შეხედულებებიც ყველაზე ახლოს დგას „ქართული ოცნებისა" და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" შეხედულებებათან ევროკავშირისადმი ნდობა მეტ-ნაკლებად თანაბარია და 50%-ზე მეტს შეადგენს. ასევე მეტ-ნაკლებად თანაბარია საზოგადოების იმ წევრების პროცენტული წილი, რომელებიც ნდობის ნაკლებობით გამოირჩევიან სწორედ აღნიშნულ ორ პარტიასთან მიმართებით და 15-20%-ის ფარგლებში მერყეობს. კვლევით დგინდება, რომ ყველაზე მეტად ევროკავშირს „სტრატეგია-აღმაშენებლის"

შეხედულებებთან ახლოს მყოფი ადამიანები ენდობიან, როგორც ინსტიტუციას, ხოლო ყველაზე ნაკლებად ეს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსსა“ და „თავისუფალ საქართველოში“ შეიმჩნევა, სადაც საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც ახლოა აღნიშნული ორი პოლიტიკური პარტიის ხედვებთან 35%-დან 50%-მდე ადამიანი ევროკავშირს, შესაბამისად არ ენდობა მას, როგორც ეკონომიკურ, იდეოლოგიურ ისე სხვა ასპექტებში, თუმცა ამის კვლევა სიღრმეებში ჩაგვიყვანს.

დიაგრამა N2



წყარო: CRRC Georgia, Caucasus Research Resource Center, 2021

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პარტიული ევროსკეპიციზმის შემთხვევაში „ქართული ოცნება“ ბევრად უფრო ევროსკეპტიკური განცხადებებითა და ქმედებებით ხასიათდებოდა, რაც ცხრილშია ასახული, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებებში შეიმჩნეოდა უფრო ნაკლებად ევროსკეპტიკური რიტორიკა. აღნიშნული კვლევა ცხადჰყოფს, რომ საზოგადოებრივი აზრი ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით თანაბარია, როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ისე „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებში. ასევე თანაბარია „ევროკავშირში“ გაწევრიანებისადმი ნეგატიურად განწყობილი ამომრჩევლების პროცენტული წილი ორივე პარტიის შემთხვევაში. „ევროკავშირში“ გაწევრიანების მომხრეთა წილი ასევე დაახლოებით თანაბარია პარტია „სტრატეგია აღმაშენებლისა“ და „თავისუფალი საქართველოს“ შემთხვევაშიც. თუ კარგად დავაკვირდებით ვნახავთ, რომ ყველაზე მეტად ევროინტეგრაციის მომხრე ამომრჩეველი პარტია „გირჩი

- მეტი თავისუფლებას“ ჰყავს, რომელსაც მათი ამომრჩევლის 74% უჭერს მხარს. ყველაზე უფრო მეტად ევროსკეპტიკური ამომრჩეველი ჰყავს პარტია „პატრიოტთა ალიანსსა“ და „ლელოს“. პირველ შემთხვევაში ეს გასაკვირი ნამდვილად არ არის, რადგან აღნიშნული წლების განმავლობაში მათ მიიღეს მონაწილეობა არაერთ ისეთ აქტივობაში, რომელიც აშკარად გამოხატავდა უარს ევროკავშირზე, მათ მიერ არაერთხელაა გამოცხადებული, რომ საგარეო კურსის თვალსაზრისით, ყველაზე სანდო პარტნიორი რუსეთია და არა ევროკავშირი. ისინი გამოდიან, რა რუსეთთან ეკონომიკური კავშირების აღდგენის ლოზუნგით და მოსახლეობას დიალოგის გზით დროებით ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას ჰპირდებიან. ყველაზე მეტად თვალშისაცემი აღნიშნულ დიაგრამაში პარტია „ლელოს“ ამომრჩევლებსა და უშუალოდ პარტიის პოლიტიკოსების განცხადებებს შორის აშკარა რადიკალური დისბალანსია, ვინაიდან, პარტიის თითოეული წევრი აღნიშნავს და ადასტურებს, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია აუცილებელია, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული, ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებას, თუმცა აქვე ვხედავთ, რომ მათი ამომრჩევლების 18% აშკარად სკეპტიკურადაა განწყობილი ინტეგრაციისადმი. ის თუ კონკრეტულ პასუხები, რატომ იქნა მიკუთვნებული აღნიშნულ კატეგორიებს, შემდეგნარაირად შეიძლება აიხსნას. კერძოდ, ისინი ვინც ევროკავშირში გაწევრიანებას „საერთოდ არ უჭერენ მხარს“ ან/და „ძირითადად არ უჭერენ მხარს“ კარგად ჯდებიან შჩერბიაკისა და ტაგარტის „ხისტი“ ევროსკეპტიციზმის ტიპში, ვინაიდან და რადგანაც, თუ მათ არ სურთ ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაცია შესაბამისად არ სურთ როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თუ სოციალური ინტეგრაცია და აქედან გამომდინარე, არც ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუტებს სცნობენ. „ნაწილობრივ ვუჭერ მხარს“ და „ნაწილობრივ არა“ - ეს კატეგორია „რბილ” ევროსკეპტიციზმს იქნა მიკუთვნებული, რადგან ეს პასუხი ითვალისწინებს, რომ ისინი არ წარმოადგენენ პრინციპულ წინააღმდეგობას ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართ და არ გამოირჩევიან ხისტი ქმედებებითა თუ წინააღმდეგობით. ხოლო ის ვინც ძირითადად და სრულიად უჭერს მხარს ევროკავშირში ინტეგრაციას რაღა თქმა უნდა სრულიად არაევროსკეპტიკოსები არიან და წარმოადგენენ სწორედ იმ კატეგორიას, რომელთათვისაც ევროპა ასოცირდება კეთილდრეობასთან, სამართლებრივ

თანასწორობასთან, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ წარმატებასთან და იმ სიკეთეებთან, რომელიც შესაძლებელია მიიღოს ქვეყანამ ინტეგრაციის შემდგომ.

კავკასიის ბარომეტრის, (CRRC)-ის მიერ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულებების შესახებ ჩატარებულ შინამეურნეობების კვლევის შედეგების მიხედვით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ რა იწვევს სხვადასხვა პარტიის მხარდამჭერებში ევროპის მიმართ ამა თუ იმ დამოკიდებულებას. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაში ევროპა დანახულია ორი მხრიდან ერთი კატეგორია ხედავს დადებითი კუთხით, ასეთი ადამიანები არაევროსკეპტიკოსების კატეგორიას მიეკუთვნებიან და მეორე კატეგორია, რომლებიც ევროსკეპტიკოსებს განეკუთვნებიან. მნიშვნელოვანია ითქვას რა მიზეზები შეიძლება იწვევდეს დადებითი ემოციებისა და შთაბეჭდილებების ჩამოყალიბებას ევროკავშირის მიმართ. აღნიშნულის მთავარი განმაპირობებლი ორი ფაქტორი არსებობს: პირველი ესაა, სოციალური მხარე, ხოლო მეორე ეკონომიკური მხარე, რომელიც შეგვიძლია გავაერთიანოთ და სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის იდეა ვუწოდოთ, რომელიც შესაძლებელია ევროკავშირში ინტეგრაციით. ამაზე ის ფაქტებიც მეტყველებს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი სამსახურის საპოვნელად, სწორედ, ევროკავშირის ქვეყნებში მიისწრაფვის, რა თქმა უნდა, ამას შიდასახელმწიფოებრივი მიზეზები განსაზღვრავს, როგორიცაა ეკონომიკის ზრდის პროცენტული და უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებლები. თუმცა ფაქტია, რომ საქართველოს მოქალაქეებში ეკონომიკური კუთხით ევროკავშირი ბევრად უფრო სანდო და მისაღებია, ვიდრე არაევროკავშირის სხვა ევროპული ქვეყანა. ხოლო, რაც შეეხება უარყოფით დამოკიდებულებას ამ შემთხვევაშიც რამდენიმე ფაქტორი შეგვიძლია გამოვყოთ, მაგრამ ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია ნაციონალურ იდენტობაზე, საუბარი, რომელიც ქართველი ადამიანისთვის ცოტა არ იყოს მძიმე თემაა. არსებობს სხვადასხვა კონსპირაციული თეორია, რომ ევროპა „ხრწნის“ ქართულ ღირებულებებს, თუ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა თვითმყოფადობას დაკარგავს და გადაგვარდება (პუბლიკა,2022). აღნიშნული უარყოფითი დამოკიდებულება სწორედ, რომ კონკრეტული პარტიებიდან მომდინარეობს და დიდია მათი როლი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების კუთხით. გარდა ამისა, ევროსკეპტიკურ დამოკიდებულებებს

განაპირობებს რელიგია. ქართველი ხალხის დამოკიდებულება ქრისტიანული (მართმადიდებლური) რელიგიისადმი. ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ რელიგიას მიეკუთვნება და ქართველ ხალხს შესისლხორცებული აქვს. რელიგია და პოლიტიკა, მრავალი საუკუნის განმავლობაში თანაარსებობდა, ხშირად ომშიც კი ჯვრით მიუძღვოდნენ ქართველ მეფეები ლაშქარს. სწორედ, ასეთმა დამოკიდებულებამ და მრავალწლიანმა თანაარსებობამ დაამჩნია კვალი დღევანდელ რეალობას და გვინდა, თუ არ გვინდა, ქართველი კაცი თავისებურად მაინც კონსერვატიული იდეებისადმი მიდრეკილებას ავლენს. ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი, თითქოს, ევროპა უპირისპირდება ქრისტიანულ ღირებულებებს და თუ ევროკავშირში გავწევრიანდებით ქართველი კაცი სუვერენიტეტთან ერთად დაკარგავს იმ რწმენას და ათად-წესებს, რაც რელიგიურობასთან ასოცირდება. საქართველო, საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო 70 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ამ პერიოდში ქვეყანა დასავლეთისგან იზოლირებული იყო და მისი ხალხი საბჭოთა პროპაგანდას ექვემდებარებოდა. ამ „მემკვიდრეობამ“, შესაძლოა ზოგიერთ ქართველს დაუტოვა ნეგატიური ხედვა დასავლეთისა და მისი ინსტიტუტების მიმართ. ასევე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს უცხო ძალების შემოჭრის დიდი ისტორია აქვს. ზოგიერთი ქართველი ფიქრობს, რომ ევროკავშირში გაწევრიანება ქვეყანას უფრო დაუცველს გახდის რუსეთის მხრიდან თავდასხმის მიმართ. ისინი შიშობენ, რომ ევროკავშირი ვერ შეძლებს საქართველოს დაცვას რუსეთისგან და ბლოკში გაწევრიანება საქართველოს რუსეთის აგრესიის სამიზნედ აქცევს.

საერთო ზოგადი ფონის თანახმად, საქართველოში ევროსკეპტიციზმის ფენომენი ნამდვილად არსებობს, არა ერთ, არამედ რამდენიმე პოლიტიკურ პარტიაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ საუბარი არ გვაქვს და არ ვეხებით ფრაქციებს, ან უბრალოდ პოლიტიკურ მოძრაობას, მაგალითად როგორიცაა: „ხალხის ძალა“, „ერთობა რაობა იმედი“, „ქართული მარში“ და სხვა აშკარად ანტიევროპულად განწყობილ ძალებს, რომლებიც არ წარმოადგენენ პოლიტიკურ პარტიებს. ასევე გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საქართველოში ნაკლებადაა „ხისტად“ ევროსკეპტიკური პარტიები. არამედ უფრო ხშირად ვხვდებით „რბილად“ ევროსკეპტიკებს და ასევე არაევროსკეპტიკებს. თუმცა, არსებული ტიპოლოგიის გარდა შესაძლოა არსებობდეს რაიმე შუალედური ვარიანტი,

რომელშიც გავაერთიანებთ ისეთ პარტიებს, რომლებიც თავისი არსითა და ქმედებებით ზუსტად, არც ხისტია და არც რბილი. შჩერბიაკისა და ტაგარტის ტიპოლოგიას დავუმატებდი მესამე შუალედურ რგოლს, რომელსაც შესაძლოა „პრაგმატული“ ევროსკეპტიციზმი ვუწოდოთ. სწორედ აღნიშნულ კატეგორიაში გავიყვანდი „ქართულ ოცნებას“. აღნიშნული პარტიის ევროსკეპტიკური განცხადებები მიუთითებს, მათი მხრიდან ერთგვარი ობიექტური რეალობის არ აღიარებას. ობიექტური რეალობაა, რომ საქართველოს სასამართლოს სჭირდება გაჯანსაღება, რასაც ევროპარლამენტარებიც და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები საუბრობენ, თუმცა გუნდის წევრების ცდილობენ იხელმძღვანელონ პრაგმატულად და დაუპირისპირდნენ იმ ობიექტურ მოცემულობას, რაც მართლაც არსებობს, კონკრეტულად იქნება ეს სასამართლოს თუ სხვა შემთხვევაში. ოცნების პრაგმატიზმი ჩანს იქიდანაც, რომ ჩვენი ჩრდილოელი „მეზობლის“ მიმართ პრაქტიკულად ქმედითი და გამოსადეგი პოლიტიკის გატარების მიზნით, რომელიც არგაღიზიანების პოლიტიკაა, ევროპარლამენტარებს ადანაშაულებენ იმაში, რომ მათ საქართველოს ომში ჩათრევა, უნდათ და მათი მიზანია ქვეყანაში არეულობის, რევოლუციების მოწყობა და ასე შემდეგ.

III თავი. საზოგადოებრივი და პარტიული ევროსკეპტიციზმი საქართველოში : ექპერტთა შეფასებები

2021-2023 წლებში პარტიულ და საზოგადოებრივ ევროსკეპტიციზმს, ექსპერტები სხვადასხვაგვარად აფასებენ, უმეტეს შემთხვევაში მათი უმრავლესობა დაახლოებით ერთ აზრზეა და შესაბამისად მსგავსი მოსაზრებებით ევროსკეპტიციზმს განიხილავენ, როგორც პარტიულ და სოციალურ ფენომენს, რომელიც ნამდვილად არსებობს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულ ექსპერტთაგან ერთ-ერთის, რონდელის ფონდის მკვლევარის განცხადებით, ევროსკეპტიციზმი არ არის უცხო ზოგადად ევროპისა და დასავლეთისათვის და თავად ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც კი შეინიშნება 2021-23 წლებში აღნიშნული სკეპტიციზმი. „ზოგადად ევროსკეპტიციზმი, საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა დღესდღეისობით, და ის თვით ევროკავშირის ქვეყნებშიც არსებობს, ამის ნათელი მაგალითია უნგრეთი, თავისი ორბანის მთავრობითურთ გარდა უნგრეთისა ევროსკეპტიკური ელემენტები იტალიასაც აქვს“ (პირისპირი ინტერვიუ, 05.05.2023). თუმცა ექპერტი არ საუბრობს რა იწვევს უშუალოდ ევროსკეპტიციზმის ევროპის ამ ქვეყნებში, თუმცაღა სხვა ექსპერტის მოსაზრებით ამის მიზეზი უშუალოდ იდეოლოგიური აზრთა სხვადასვაობაა ევროკავშირსა და ამ ხელისუფლებებს შორის.

ხასიათდებიან თუ არა ქართული პარტიები და ზოგადად საზოგადოება ევროსკეპტიკური განწყობებით, ამაზე ექსპერტებმა შემდეგნაირად უპასუხეს. სრული უმრავლესობის აზრით მეტ-ნაკლებად ევროსკეპტიკური პარტიები გვხვდება, როგორც ოპოზიციაში, ასევე თავად მმართველი პარტიაა ევროსკეპტიკური, თუმცა განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ პარტიები გაცხადებულად ევროსკეპტიკურები არიან, ნაწილისათვის კი ეს გაუცხადებელ ევროსკეპტიციზმთან ასოცირდება. „თუ ჩვენ გადავხედავთ პარტიების მიერ შექმნილ წერილობით დოკუმენტებს, იქნება ეს მათი წესდება თუ პროგრამები, ყველა მეინსტრიმული და ძირითადი მოქმედი პარტია არის აშკარად პროევროპული, პრონატო, პროდასავლური, თუმცა მნიშვნელოვანია, ის რამდენად შეესაბამება პარტიების დეკლარირებული განცხადებები მათ რეალურ მოსაზრებებსა და ქმედებებს, რაც შეიძლება შევისწავლოთ მათ მიერ გაკეთებული განცხადებების

მიხედვით“ (პირისპირი ინტერვიუ, 05.05.2023). აღნიშნულმა აჩვენა, რომ „ქართულ ოცნებას“ დეკლარირებულ ყველა დოკუმენტში მკვეთრად აქვს ხაზი გასმული, რომ პარტია ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ მიისწრაფვის, თუმცა განცხადებებმა გვიჩვენა, პარტია საწინააღმდეგოდ იქცევა, რაც მათი გაჟღერებული განცხადებებიდან შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რაზეც ექპერტთა ერთი ნაწილიც საუბრობს. „ქართული ოცნების მაღალჩინოსნების განცხადებები, ხაზს უსვამს შიდაპარტიულ „ერთგვარ შეთქმულებას“, რომელიც აშკარად ანტიევროპულად გამოიყურება და გვაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ „ქართული ოცნება“ -ს ნამდვილად ახასიათებს ევროსკეპტიციზმი. მეორე მხრივ, იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ მმართველ პარტიას ჰყავს სატელიტი ძალები, როოგორიცაა „ხალხის ძალა“ და „ალტ ინფო“, რომელზეც ახორციელებს სრულ ან ნაწილობრივ კონტროლს. მათი საშუალებით „ქართული ოცნება“ ცდილობდა, წარმოეჩინა პარტია, როგორც კვლავ პრო-ევროპული და პროდასავლური. თუმცა „ხალხის ძალისა“ და „ალტ ინფოს“ აღნიშნული ქმედებები ვერ გამოირჩა შედეგიანობით და ბოლოს თავად მმართველ ძალას მოუწია ანტიდასავლური და პრორუსული განცხადებების გაჟღერება“ (პირისპირი ინტერვიუ, 07.05.2023). ასევე მსგავსი მოსაზრება აქვს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მკლვევარს, რომელიც მიიჩნევს, რომ დეკლარირებულად „ქართული ოცნება“ პროევროპულია, თუმცა პარტიის რიტორიკა საპირისპიროს ამბობს. „შეიძლება პარტია პროევროპული იყოს და შედარებით ანტი ევროპულ დეფაქტო პოლიტიკას და სტრატეგიას ატარებდეს, ასეთისკენ იხრება დღეისათვის ყველაზე დიდი და ძლიერი სახელისუფლებო პარტია „ქართული ოცნება“ რომელიც გაცხადებულად პროევროპულია, მაგრამ თუ მის ბოლოდროინდელ რიტორიკას და ევროპელ აქტორებთან მიმართებით გადაწყვეტილებებს ჩავხედავთ, თითქოს არ გამოიყურება დეფაქტო პროევროპულ პარტიად“ (პირისპირი ინტერვიუ, 02.05.2023).

ექსპერტთა მეორე ნაწილი, ხაზს უსვამს, იმ არასაპარლამენტო თუ საპარლამენტო ძალებს, რომლებიც ამჟამად მონაწიელობას იღებენ ქართული პოლიტიკის შემუშავებაში, ან აქვთ გარკვეული სახის გავლენა ქართულ საზოგაოდებაზე. ექპერტების მიერ გამოიყო ხუთი ძირითადი ოპოზიციური ევროსკეპტიკური პარტია: „პატრიოტთა ალიანსი”, „ალტ-ინფო“, „გირჩი“

„თავისუფალი დემოკრტები“, „ევროპელი სოციალისტები“. საქართველოში ევროსკეპტიკური პარტიები ნამდვილად არიან. თუ კლასიკურად შევხედავთ ეს პარტია არის „პატრიოტთა ალიანსი” თუმცა მნიშვნელოვანია, რომ უფრო მეტად ეს დასავლეთის მიმართ სკეპტიციზმია. რაც მათ საარჩევნო პროგრამაშიც იყო ასახული, რომ ისინი უშუალოდ ნატოს ეწინააღდეგებიან და ნაკლებად ევროკავშირს. ყველაზე დიდი წინააღმდეგობა, ვფიქრობ პარტია „ალტ ინფოდან” მოდის, რომელიც 2021 წლიდან უკვე პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენს. ცხადია ისინი არიან ევროსკეპტიკოსები და ბოლო პერიოდში განსაკუთრებით პარტიის წარმომადგლები აკეთებენ ანტიევროპულ განცხადებებს და უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პრორუსულ განცხადებებს” (პირისპირი ინტერვიუ, 07.05.2023). ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ ორივე პარტია „პატრიოტთა ალიანსიც” და „ალტ-ინფოც” უფრო მეტად ექპერტი მიაკუთვნებს პრორუსულ პარტიებს და ამბობს, რომ უფრო მეტად არიან რუსეთის გავლენით ნასაზრდოვები. ერთი ექპერტი, რომელიც უშუალოდ პრორუსულობაზე აკეთებს აქცენტს, ამბობს „არსებობენ ასევე პარტიები, რომლებიც შესაძლოა იმდენად ევროპის წინააღმდეგ სკეპტიკურად არ არიან განწყობილნი, უბრალოდ იმდენად პრორუსულები არიან, მაგალითისთვის ნინო ბურჯანაძის „თავისუფალი დემოკრატები“ ანუ გვაქვს გარკვეული გრადაციები ამ საკითხთან მიმართებით. მაგრამ ასეთი პარტიები დიდად პოპულარულები არ არიან და არ აქვთ ხალხის მასების მხარდაჭერა, თუ არ ჩავთვლით „პატრიოტთა ალიანსს“ რომელსაც წინა მოწვევის პარლამენტში ჰქონდა მანდატები“ (პირისპირი ინტერვიუ 02.05.2023).

საინტერესოა, რომ ჩატარებული კონტენტ-ანალიზის შედეგები დაახლოებით ემთხვევა ექპერტების მოსაზრებებს, თუმცა გამოკითხულ ექპერტთაგან ერთ-ერთმა ევროპულ-ქართული უნივერსიტეტის წარმომადგენელმა პარტია „გირჩი“ რომელიც არაევროსკეპტიკურის კატეგორიაში შევიდა, მან ევროსკეპტიკოსთა კატეგორიას მიაკუთვნა, რაც შემდეგი მიზეზით ახსნა „თუ ჩვენ იაგო ხვიჩიას გირჩს ჩავთვლით, როგორც ოპოზიციური პარტია ისიც არის ევროსკეპტიკური, ეს ევროსკეპტიციზმი უკვე იდეოლოგიურია და სრული გაუაზრებლობა იმის თუ რა არის თანამედროვე ევროკავშირი“ (პირისპირი ინტერვიუ, 15.05.2023).

პარტიული ევროსკეპტიციზმის მიზეზებზე საუბრისას უნდა გამოვყოთ ერთის მხრივ, „ქართული ოცნება“ და მეორეს მხრივ სხვა ოპოზიციური, საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო პარტიები. ექპერტთა აზრით, სახელისუფლებო პარტიის ევროსკეპტიციზმი რამდენიმე ფაქტორით შეგვიძლია ავხსნათ როგორიცაა: პოლიტიკური და კულტურული. „პოლიტიკური ფაქტორი თავის თავში ძალაუფლების შენარჩუნებას გულისხმობს. „ქართული ოცნების“ შემთხვევაში თუ აღნიშნულ საკითხზე ვისაუბრებთ, ვფიქრობ მათ არა აქვთ სურვილი განახორციელონ ის რეფორმები, რომელიც საქართველო ევროკავშირის გზაზე წინსვლისთვისაა საჭირო. ვგულისხმობ სასამართლოს დამოუკიდებლობას, მედია პლურალიზმს, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დეოლიგარქიზაციას და დეპოლარიზაციას. ესაა ის საკითხები რაზეც დგას ქართული ოცნების ძალა და რეფორმირება ამ კუთხით და ასეთი ნაბიჯების გადადგმა შეიძლება დაუჯდეს ძალაუფლების დაკარგვად“ (პირისპირი ინტერვიუ, 05.05.2023). ასევე ძალაუფლების შენარჩუნებას უსვამს ხაზს, „ევროპულ-ქართული ინსტიტუტის“ წარმომადგენელი „შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძალაუფლების შენარჩუნება არის ის ძირითადი მიზეზი, რის გამოც მოხდა არსებული ანტიდასავლური რიტორიკის გაჟღერება“ (პირისპირი ინტერვიუ, 07.05.2023). ექპერტთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ევროსკეპტიციზმი უშუალოდ ვლინდება ევროპარლამენტარების წინააღმდეგ გამოთქმულ განცხადებებში და მას იმდენი ზიანი არ მოაქვს ქვეყნისათვის, ვიდრე უშუალოდ ძალაუფლების შენარჩუნებაზე გაკეთებულ აქცენტს - „პოლიტიკურის მხრივ ეს უფრო მეტად შლეიფია, რომელიც გამოიხატება კონკრეტული ევროპარლამენტარების წინააღმდეგ გამოთქმულ განცხადებებში. ეს უფრო ვიწრო პარტიული ინტერესებიდან გამომდინარეობს, ვიდრე, უფრო ევროინტეგრაციის წინააღმდეგ მიმართულ რიტორიკად. ანუ „ქართულ ოცნება“ აკრიტიკებს, მხოლოდ იმ ევროპარლამენტარებს, რომლებიც უშუალოდ „ქართულ ოცნებას” აკრიტიკებენ და არა ზოგადად ევროპარლამენტს. ანუ, ქართული ოცნება არ ახდენს ევროპარლამენტის დელეგიტიმაციას“ (პირისპირი ინტერვიუ, 02.05.2023).

რაც შეეხება მეორე ფაქტორს, რომელიც „ქართული ოცნების“ ევროსკეპტიკურობას უსვამს ხაზს, ესაა კულტურული, ფაქტორი, რომელიც ერთის

მხრივ კვლავ საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის მცდელობად შეგვიძლია აღვიქვათ. თითქოს ევროკავშირი რყვნის ოჯახის ღირებულებებს და ევროპული ღირებულებები შორსაა ქართული ტრადიციული ღირებულებებისგა, ასევე განცხადებები, რომ ევროპარლამენტში ერთსქესიანთა ქორწინებებს აკანონებენ და ის, რომ ევროპარლამენტში „ლგბტქ“ თემის პოპულარიზაციიასაკენ მიმართული ფოტო გამოფენები ეწყობა. „რაც შეეხება კულტურულ ფაქტორებს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა კულტურული მიმართულების კონსერვატიზმი ოფიციალურ პლატფორმად დააფიქსირა, როდესაც ის გამოვიდა კონსერვატიული მოქმედების კონფერენციაზე უნგრეთში. გაცხადებულად მთავარი გზავნილი ამ კონფერენციისა, არის ოჯახის ერთიანობა და თავად ღარიბაშვილის გამოსვლაშიც, ეკონომიკური და პოლიტიკური ნარატივები ნაკლებად იყო გამოყოფილი, არამედ ძირითადი აქცენტი, კულტურაზე, კერძოდ, ოჯახის სიწმინდეზე, ქრისტიანობაზე იყო გაკეთებული“ (პირისპირი ინტერვიუ, 16.05.2023).

ექსპერტთა აზრით, ეკონომიკური ფაქტორი არის ის ერთადერთი ნათელი რგოლი, რომელშიც ევროსკეპტიციზმი თითქმის არ ვლინდება, მაგალითად ვიზა-ლიბერალიზაცია, რომელიც რა თქმა უნდა წინ გადადგული ნაბიჯია ევროინტეგრაციის გზაზე, მაგრამ არა პოლიტიკურად. უფრო მეტად ესაა საზოგადოების ლოიალობის მიმხრობის სტრატეგია და იგივე შეეხება ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც გარდა ჩვენი ვალდებულებებისა, ითვალისწინებს უამრავ ფინანსურ სარგებელს, იქნება ეს გრანტები თუ სესხები. „ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ ბევრ ბენეფიტს იღებს ევროკავშირიდან, როგორიცაა საქართველოსა და რუმინეთს შორის არსებული, შავი ზღვის ქვეშ გამავალი ელექტროკაბელი. ეს არის დიდი ინვესტიცია ევროპის მხრიდან, რომელიც ჩვენ მივიღეთ, ვიყენებთ ბაზრებს, ვიყენებთ უვიზო, რეჟიმს, რომლის მიმართულებითაც არ არსებობს შეფერხებები და ამ მიმართულებით „ქართული ოცნების“ ნარატივში სკეპტიკურს ვერ ამოვიკითხავთ. ეკონომიკური ფაქტორი არის ერთგვარი წებოვანი მასა, მე ვიტყოდი, რომ ერთადერთიც, რომელიც დღეს ბრიუსელსა და თბილისს აკავშირებს“ (პირისპირი ინტერვიუ, 07.05.2023).

რაც შეეხება საზოგადოებრივ ევროსკეპტიციზმს, ექპერტები ამ შემთხვევაშიც გამოირჩევიან აზრთა სხვადასვაობით და თავისებურ ხედვებს გვთავაზობენ, თუმცა საერთო ჯამში არსებული ფონი არაევროსკეპტიკური და ნამდვილად პროევროპულია, რასაც უკვე ათეული წელია სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევებიც ადასტურებს, იქნება ეს CRRC-ისა თუ NDI. ფაქტი ერთია, რომ არის რიგი ფაქტორები, რომელთა მიხედვით ქართული საზოგადოება არის პროევროპული და არის რიგი ფაქტორები, რომლის მიხედვითაც შეიძლება გარკვეული უარყოფითი ნარატივები ამოვიკითხოთ, რასაც პოლიტიკის ინსტიტუტის მკვლევარიც ადასტურებს - „ცალსახად ევროსკეპტიკური ან პროევროპული არ არის იმიტომ, რომ ქართული საზოგადოება დღესდღეობით რეალურად ისეთი გამოწვევების წინაშე დგას, იგივე კვლევების მიხედვით თუ დავაკვირდებით ძირითადი აქცენტი გაკეთებულია უმუშევრობასთან, სოციალურ სიღარიბესთან და არა უშუალოდ, რომელიმე კულტურულ ან პოლიტიკურ საკითხთან. ეკონომიკური მოწყვლადობის თვალსაზრისით საზოგადოება ცალსახად პროევროპულია. იმიტომ, რომ ინფორმაცია და შეგრძნება იმის შესახებ, ევროპა არის ყველაზე მყარი და სარგებლიანი ეკონომიკით გამორჩეული და ის, რომ ევროპული ბაზარი ჩვენთვის უფრო ბევრს მოიტანს თუკი ჩვენ ვინტეგრირდებით, ამის ცოდნა ინტუიტურ დონეზე მაინც ყოველთვის არსებობს ქართულ საზოგადოებაში, რაც ფაქტობრივად აიძულებს მოქალაქეებს დაუჭირონ მხარი ევროპულ ინტეგრაციას, მეორე მხრივ შემოდის ისეთ ე.წ. მარკერები, რომლებითაც მარტივია მოსახლეობის მანიპულირება და ეს მარკერებია კულტურული ფაქტორები. ანუ ზოგადად ქართული საზოგადოება არის პროევრპული, თუმცაღა ასევე არის მარტივად მანიპულირებადი, რაც საშუალებას აძლევს სხვდასხვა აქტორებს მოხდეს მათი მანიპულირება იმ ყველაზე მეტად სათუთი თემებით, როგორიცაა კულტურა, ოჯახი, რელიგია. ასევე ხდება მანიპულირება თითქოსდა ევროკავშირში შესვლით საქართველო სუვერენიტეტს დაკარგავს“ (პირისპირი ინტერვიუ, 02.05.2023).

სხვა ექსპერტებიც დაახლოებით იგივეს ამბობენ, რომ ეკონომიკური ფაქტორი არის ქართული საზოგადოების პროევროპულოის მთავარი მაპროვოცირებელი, ხოლო კულტურული ფაქტორები არის ის ფაქტორები, რომლითაც ხდება პარტიული

წრეების მიერ საზოგადოების მასების მანიპულირება, რომელსაც სიტუაციური ხასიათი აქვს. „ქართულ საზოგადოებაში ევროსკეპტიციზმი არსებობს მაგრამ შედარებით ნაკლებად. საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმი ძირითადად სიტუაციური ხასიათისაა. ყველა კვლევა აჩვენებს, რომ მოსახლეობის 80% ზე მეტს ევროკავშირში ინტეგრაცია სურს, პატივს სცემს, მის ღირებულებებს, განიხილავს ეკონომიკური სარგებლიანობით და სურს გაწევრიანება. მაგრამ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ნაწილში მაინც სრული ნდობა არსებობს ევროკავშირის მიმართ, მაგალითად არის დაპირისპირება ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა „ლგბტქ“ თემისადმი დამოკიდებულება ევროკავშირსა და საქართველოში. ადამიანების განწყობები არ არის მყარი და მასზე დიდ როლს თამაშობს სოციალური მედია იქნება ეს ტელევიზია თუ სოციალური ქსელები. სწორედ აქედან გამომდინარეობს სიტუაციური ევროსკეპტიციზმი. რა მესიჯებიც წამოვა მედიის მხრიდან შესაბამისად საზოგადოებაც მოექცევა ამა თუ იმ ხედვების გავლენის ქვეშ“ (პირისპირი ინტერვიუ,05.05.2023).

ხოლო, რაც შეეხება, CRRC- ის კვლევის კროსტაბულაციურ ანალიზს, გვაჩვენებს, რომ მიუხედავად პარტიული განცხადებებისა, რომლითაც დასტურდება, რომ „ქართული ოცნები“ განცხადებები მეტად ევროსკეპტიკურია, ვიდრე ნაციონალური მოძრაოის ან სხვა, რომელიმე საპარლამენტო პარტიის, ხოლო საზოგადოებრივი კვლევა კი გვიჩვენებს, რომ ორივე პარტიის ამომრჩეველი თანაბრად უჭერს მხარს, როგორც ევროკავშირში ინტეგრაციას, ასევე თანაბრად უჭერს მხარს მასში არგაწევრიანებას. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი ექპერტთა სრული უმრავლესობის აზრით აიხსნება პარტიისა და მათი ამომრჩევლების გარკვეული დისტანცირებით, „პარტიასთან მიკუთვნებულობა საქართველოში არ განისაზღვრება მაინც და მაინც პარრტის კონკრეტული ხედვით ან იდეოლოგიით, რაც პოლიტიკური კულტურის შესაბამისი დონითაა გამოწვეული. რეალურად თუ ძირითადი მოქმედი პარტიების, ოცნების, ენმ-ის, ევროპული საქართველოს პროგრამას შევხედავთ, იქ ძალიან დიდ განსხვავებას ვერ ვნახავთ რაც შესაბამისად ნიშნავს, რომ იგი ნაკლებადაა საზომი და განმსაზღვრელი პარტიასთან მიკუთვნებულობისადმი. არცერთი ამომრჩეველი არ იტყვის, რომ მხარს უჭერს პარტიას იმიტომ, რომ მისი მაგალითად

ევროპული ხედვები მოსწონს და ასე შემდეგ. აქ უფრო სხვა მიზეზები არსებობს თუ რატომ უჭერს მხარს კონკრეტული პიროვნება ამა თუ იმ პარტიას. სამწუხაროდ შემიძლია ვთქვა, რომ პროევროპულ პარტიებს შორის ამომრჩევლის გადანაწილება პროევროპულოით არ განისაზღვრება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამომრჩევლისათვის სულ ერთია პარტია პროევროპულია თუ ევროსკეპტიკური“ (პირისპირი ინტერვიუ, 05.05.2023).

დასკვნა

მოცემული კვლევის ფარგლებში, პოლიტიკოსების განცხადებების შესწავლამ, მეორეულ მონაცემთა ანალიზმა და ექსპერტულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ საქართველოში ევროსკეპტიკური პოლიტიკური პარტიები არსებობენ. კვლევის პირველი ჰიპოთეზა, რომ საქართველოში ვლინდება არაევროსკეპტიკური და რბილად ევროსკეპტიკური პარტიები, მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა, რადგან საქართველოში, ტაგარტისა და შჩერბიაკის ტიპოლოგიის მიხედვით, გვხვდება „ხისტად“ ევროსკეპტიკური პარტია - „ალტ-ინფო“. მეორე ჰიპოთეზა, რომ რაც უფრო ევროსკეპტიკურ განცხადებებს აკეთებს პარტია, მით უფრო ევროსკეპტიკურია მისი ამომრჩეველი, არ გამართლდა, რადგამ კავკასიის ბარომეტრის ლონგიტუდური მონაცემების მეორეულმა ანალიზმა აჩვენა, რომ რბილად ევროსკეპტიკური "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" ამომრჩეველი პროევროპულად განწყობილია. მოცემული სხვაობა პარტიის განცხადებებსა და ამომრჩევლის პოლიტიკურ პრეფერენციებს შორის შესაძლოა ორი ძირითადი ფაქტორით აიხსნას. პირველი უკავშირდება სახელისუფლებო პარტიის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციას (პროევროპულობიდან ევროსკეპტიკურობამდე). ხოლო, მეორე მიზეზი შესაძლოა ამომრჩევლებსა და პარტიას შორის "სოციალური დისტანცირების" ფენომენი იყოს.

თანამედროვე საქართველოში ევროსკეპტიციზმის ფენომენი არა იმდენად „ხისტი“ და „რბილი“ სახესხვაობებით, არამედ ღია და ფარული ფორმებით უფროა გამოწვეული. მაგალითად, "საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" და "ალტ-ინფო" ევროსკეპტიკურ პოლიტიკურ შეტყობინებებს ღიად აჟღერებენ, ხოლო, "ქართული ოცნების" რიტორიკა შეფარულ ან ირიბ კრიტიკას ეყრდნობა. პარტიულმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ პარტიულ სპექტრში გამოვლენილი ევროსკეპტიციზმი არა იმდენად ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური და კულტურული ფაქტორებითაა გამოწვეული. ამაზე მეტყველებს ექსპერტთა სრული უმრავლესობის თანხმობა, იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ბენეფიტები არის ერთგვარი „წებოვანი მასა“, დამაკავშირებელი ქართულ პოლიტიკურ პარტიებსა და ევროკავშირს შორის.

მოცემული ნაშრომი ორიენტირდებოდა თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრივი და პარტიული ევროსკეპტიციზმის საკითხების დაკავშირებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების თანახმად ამომრჩეველთა დიდი ნაწილი პროევროპული განწყობებისაა, საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმი აშკარაა. ლოგიკურია ისიც, რომ მათი პოლიტიკური ინტერესების აგრეგაცია, სწორედ „ხისტად“ ევროსკეპტიკურ პარტიებში ხდება. საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმის გამომწვევი მნიშვნელოვანი ფაქტორია რუსეთის გავლენა და ისტორიული წარსული, რომელიც საბჭოთა მემკვიდრეობით აიხსნება.

ექსპერტებს შორის, განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, თუმცა, თითოეული მათგანი ამბობს, რომ საქართველოში ევროსკეპტიკური განწყობები არსებობს. რომელიც უფრო მეტად პოლიტიკურ პარტიებში ვლინდება, ვიდრე ქართულ საზოგადოებაში. სრული უმრავლესობის აზრით საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი პროევროპულია, თუმცა არსებობს ევროსკეპტიკური ნაწილიც, რომელთა დიდი ნაწილი, სწორედ „ხისტად“ ევროსკეპტიკური პარტიის მხარდამჭერებზე მოდის. ექსპერტთა ერთმა ნაწილმა „ქართული ოცნება“- „ხისტ ევროსკეპტიციზმს“ მიაკუთვნა, ხოლო ნაწილმა „რბილს“. მათი სრული უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პარტია „ალტ-ინფო“ და „პატრიოტთა ალიანსი“ აშკარად „ხისტად“ და გამოხატულად ევროსკეპტიკურები არიან, ხოლო მმართველი პარტიის შემთხვევაში, ექპერტთა ერთი ნაწილის აზრით, საქმე გვაქვს გაუცხადებელ ევროსკეპტიციზმთან, რომლებიც არა პირდაპირი კრიტიკით არიან დაკავებულნი, არამედ ირიბი. ექპერტთა სრული უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეკონომიკურ ჭრილში „ქართული ოცნება“ არაევროსკეპტიკურია და კარგად იყენებს ევროკავშირის ერთგვარ „ბენეფიტებს“.

მოცემული კვლევა ევროსკეპტიციზმის ირგვლივ არსებული ქართული აკადემიური ლიტერატურის გამდიდრების ერთგვარი მცდელობაა. ვფიქრობ, რომ ის მცირეოდენ წვლილს მაინც შეიტანს ამ ქვედარგის განვითარებაში და საკითხით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას მისცემს გამოიყენოს მისი შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურა

Aldrich, A. S. (2009). Ignorant and Confused?" Knowledge and Awareness as Determinants of Euroskepticism . Thesis, Georgia State University.

Aleks szczerbiak, p. t. (2003). theorising party-based euroscepticism; problems of definition, measurement and causality. biannual international conference of the european union studies assotiation conference. nashville.

Antonić, S. (2012). Euroscepticism in Serbia. Serbian Political Thought, 67-96.

Bercher, M. F. (2021). Transnational Perspectives and Euroscepticism: A Strategical Rhetoric of Blame. Honors College Theses.

Bijsmans, P. (2021). The Eurozone crisis and Euroscepticism. Journal of European Integration, 331-346.

CLARA RAUCHEGGER, A. W. (2019). National Resistance Against . HART PUBLISHING , 229-247.

Eftimovski, S. (2013). EVROSKEPTICIZAM KAO TEORIJSKI POJAM. Pregledni naučni članak, 542-557.

Flood, C. (2002). Political Myth: A Theoretical Introduction. new york: Routledge.

Flood, C. (2017). The Routledge Handbook of Euroscepticism. new york : routlange.

Gary marks, L. H. (2003). National identity and support for European integration. WZB Berlin Social Science Center.

Gary Marks, M. R. (2004). European Integration and political conflict. camridge university press.

GÜLMEZ, S. B. (2013). EU-SCEPTICISM VS EUROSCEPTICISM: RE-ASSESSING THE PARTY POSITIONS IN THE ACCESSION COUNTRIES TOWARDS EU MEMBERSHIP.

Knežević, M. (2008). Evroskepticizam. Beograd .

Lebanidze, B. (2019). Rise of Nationalist Populism in Georgia. თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

Leconte, C. (2010). Understanding Euroscepticism (The European Union Series). the european union series.

Marcel Lubbers, P. S. (2007). Euroscepticism and extreme voting patterns in Europe. Social cleavages and socio-political attitudes determining voting for the far left, the far right and non-voting. ournal of Contemporary European Research.

Paul Taggart, A. S. (2003). Theosing Party-Based Euroscepticism:Problems Of Definition, Measurement And Causality. Sussex European Institute.

Petr Popecky, C. M. (2002). The Two Sides of Euroscepticism, Party Positions on European Integration in East Central Europe. london: sage publications.

Rickeston, P. (2001). political myth: the political uses of history, tradition and memory. Retrieved from University of Wollongong: https://ro.uow.edu.au/theses/1438/.

RIJPKEMA, S. (2020). Euroscepticism in times of crisis. ERASMUS UNIVERSITY ROTTERDAM.

Smith, A. (2006). Set in the Silver Sea: English National Identity and European, National Identity and Euroscepticism. Association for the Study of Ethnicity and Nationalism, 433-452.

Sørensen, C. (2005). CONCEPTUALISING PUBLIC EUROSCEPTICISM: the cases of Denmark,France and the United Kingdom. EPERN Working Paper br. 19.

Tabaadze, S. (2022). Party-Based Euroscepticism; The Case Of Georgia. The Journal of Post-Soviet Democratization 30.

Treib, O. (2020). Euroscepticism is here to stay: what cleavage theory can teach us about the 2019 European Parliament elections. Journal of European Public Policy, 1-16.

Vasilopoulou, S. (2009). Varieties of Euroscepticism: The Case of the European Extreme Right. Journal of Contemporary European Research .

Vasilopoulou, S. (2017). Theory, Concepts and Research Design in the Study of Euroscepticism. The Routledge Handbook of Euroscepticism Routledge.

ამირანაშვილი, ნ. (2023). რას ითვალისწინებს „ალტ-ინფოს" მიერ პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი. თბილისი: https://publika.ge/ras-itvaliswinebs-alt-infos-mier-parlamentshi-iniciirebuli/

ბურდული, ნ. (2022). “პატრიოტთა ალიანსის”, “მარშის” და სხვების წერილი პუტინს. თბილისი: https://netgazeti.ge/life/592465/

იმედი. (2022). ცალკეული ევროპარლამენტარის განცხადებებს ევროპასთან და ევროპულ ღირებულებასთან საერთო არ აქვს - ევროპა და ევროპული ღირებულებები სხვანაირად წარმომიდგენია. თბილისი: https://imedinews.ge/ge/politika/257937/kakha-kaladze

ინტერპრესნიუსი. (2022). ევროპარლამენტის რეზოლუციაზე - ასეთ რეზოლუციას ჩალის ფასი აქვს! თბილისი: https://www.interpressnews.ge/ka/article/714527-irakli-kobaxize

ინტერპრესნიუსი. (2021). 9 აპრილის შეთანხმების ანულირებით, დღეიდან ქვეყანა დაუბრუნდა კონსტიტუციურ ჩარჩოს და პოლიტიკური პროცესები მოქმედი კონსტიტუციური წესრიგის შესაბამისად გაგრძელდება. თბილისი: https://www.interpressnews.ge/ka/article/669087-kartuli-presis-mimoxilva-09082021/

ინტერპრესნიუსი. (2021). ირმა ინაშვილი ვლადიმერ პუტინს წერილით მიმართავს. თბილისი: https://www.interpressnews.ge/ka/article/668372-irma-inashvili-vladimer-putins-cerilit-mimartavs/

ინტერპრესნიუსი. (2022). თუ საქართველო სტატუსს უსამართლო ვალდებულებებით მიიღებს, ქვეყანამ მასზე უარი უნდა თქვას - სტატუსის მისაღებად ღირსებას ვერ დავთმობთ! თბილისი:https://www.interpressnews.ge/ka/article/714687-dimitri-xundaze

ინტერპრესნიუსი. (2022). რეზოლუცია, სადაც ტყუილები წერია, როგორ უნდა იყოს ანგარიშგასაწევი? - ტყუილებზე დაფუძნებული ევროპა კი არა, საკუთარი ოჯახი არ მინდა. თბილისი: https://www.interpressnews.ge/ka/article/715072-aluda-gudushauri

ინტერპრესნიუსი. (2022). 6 თვე რასთან დაკავშირებით დაგვიწესეს? - შეთქმულებაა საქართველოს წინააღმდეგ, არსებობს ინტერესი, რომ საქართველო ომში იყოს ჩართული. თბილისი: https://www.interpressnews.ge/ka/article/717619-mixeil-qavelashvili

ინტერპრესნიუსი. (2022). ევროპარლამენტის რეზოლუციას ჩალის ფასი აქვს - ჩალას სიმძიმე და წონა ვერ ექნება, როგორც არ უნდა შეფუთო. თბილისი: https://www.interpressnews.ge/ka/article/738348-irakli-kobaxize

ინტერპრესნიუსი. (2022). კანდიდატის სტატუსი პრაქტიკული თვალსაზრისით არაფერს იძლევა. თბილისი: https://www.interpressnews.ge/ka/article/715226-irakli-kobaxize

ინტერპრესნიუსი. (2022). კუბილიუსი საქართველოს უფროსი გგონიათ - თუ საზოგადოებას ეუბნებით, არ გვინდა რუსეთი, რადგან ისინი ერევიან ჩვენს სუვერენიტეტში და გვინდა კუბილიუსი, რომელიც ჩვენი უფროსი იქნება, ეს მიუღებელია. თბილისი:https://www.interpressnews.ge/ka/article/714069-guram-macharashvilii

ინტერპრესნიუსი. (2022). მოვუწოდებ ყველას და მათ შორის ევროპარლამენტის წევრებს, რომ თავი შეიკავონ გავლენის მოხდენის მცდელობისგან საქართველოს სასამართლოზე. თბილისი: https://www.interpressnews.ge/ka/article/719055-shalva-papuashvili

ინტერპრესნიუსი. (2022). რეზოლუცია მოკლებულია სამართლიანობას და მასში მოყვანილია დამახინჯებული ფაქტები. თბილისი: https://www.interpressnews.ge/ka/article/714690-archil-talakvaze

ინტერპრესნიუსი. (2022). საქართველოს დამოუკიდებლობა კვლავ საფრთხის ქვეშ დადგა! რა განსხვავებაა ჩვენთვის, ვინ იქნება მბრძანებელი, თუკი კვლავ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა მოგვიწევს?! თბილისი: https://www.interpressnews.ge/ka/article/714692-dimitri-xundaze-rezoluciaze

ინტერპრესნიუსი. (2022). ხომ ვიცით, არ გვაძლევენ იმიტომ, რომ საქართველო სანქციებში და ომში არ ჩაერთო. თბილისი:https://www.interpressnews.ge/ka/article/716378-kaxa-kalaze

ინტერპრესნიუსი. (2023). ეს კონკრეტული ევროპარლამენტარები არიან სალომე სამადაშვილები და ლევან ხაბეიშვილები, არც მეტი, არც ნაკლები. თბილისი: https://www.interpressnews.ge/ka/article/743368-irakli-kobaxize

ინტერპრესნიუსი. (2023). არ მინდა ევროპა, რომელიც მეუბნება - დამნაშავე უნდა გაუშვა, კონსტიტუცია უნდა დაარღვიო, კანონი უგულებელყო, მართლმსაჯულებაში ჩაერიო, ეს არის ევროპა? თბილისი: https://www.interpressnews.ge/ka/article/747109-mixeil-qavelashvili

ინტერპრესნიუსი. (2023). რეზოლუციას ჩალის ფასი აქვს. თბილისი: https://www.interpressnews.ge/ka/article/744956-kaxa-kalaze-rezolucias-chalis-pasi-akvs/

ინტერპრესნიუსი. (2023). სამწუხაროა, რომ ევროპარლამენტის რეზოლუციები იქცა დეზინფორმაციის გავრცელების წყაროდ, რაც ძირს უთხრის ამ ინსტიტუციების მიმართ ნდობას. თბილისი: https://www.interpressnews.ge/ka/article/744598-shalva-papuashvili

კანდელაკი, ს. (2021). ევროსკეპტიციზმი და რელიგია. თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

პუბლიკა. (2023). ევროკომისიის გადაწყვეტილებას დეზინფორმაციის ტალღა მოჰყვა. თბილისი: https://publika.ge/article/evrokomisiis-gadawyvetilebas-dezinformaciis-talgha-mohyva/

პუბლიკა. (2023). ძალადობრივმა და პრორუსულმა „ალტ-ინფომ" პარლამენტთან ევროკავშირის დროშა ისევ ჩამოგლიჯა. თბილისი: https://publika.ge/dzaladobrivma-da-prorusulma-alt-infom-parlamenttan-evrokavshiris-drosha-isev/

სილაგაძე, გ. (2020). არის თუ არა პოპულიზმი ევროსკეპტიკური საქართველოში. თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

სილაგაძე, გ. (2021). ევროსკეპტიკური, მაშასადამე, პრორუსული? თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

უერთაშვილი, ს. (2022). "ალტ-ინფოს" მხარდამჭერებმა ევროკავშირის დროშა დაწვეს - ამ წუთებში აქციის მონაწილეები მთაწმინდისკენ მიემართებიან. თბილისი: რუსთავი 2. https://rustavi2.ge/ka/news/232886

ქათამაძე, ვ. (2022). თავისი შინაარსიდან გამომდინარე არანაირი ფასი არ აქვს. თბილისი: https://europetime.eu/ka/article/34594-kaxa-kaladze

ჩიჩუა, ნ. (2022). „პატრიოტთა ალიანსი“ მოსკოვში შეხვედრებს მართავს. თბილისი: https://netgazeti.ge/news/603934/

დანართი N1

საბაკალავრო ნაშრომის კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები პოლიტიკის ექსპერტებთან

ნინო სამხარაძე - GIP-ის პოლიტიკის ანალიტიკოსი

სალომე კანდელაკი - საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) პროექტის კოორდინატორი და პოლიტიკის ანალიტიკოსი.

გიორგი მელაშვილი - ევროპულ-ქართული ინსტიტუტის, საქართველოს წამყვანი სამოქალაქო ორგანიზაციის დამფუძნებელი.

ვანო ჩხიკვაძე - ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ევროინტეგრაციის პროგრამის მენეჯერი.

გია ნოდია - პოლიტოლოგი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი და მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის თავმჯდომარე.

კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი.

გიორგი ბადრიძე - რონდელის ფონდის უფროსი მკვლევარი.

დანართი N2

1) თქვენი აზრით, ზოგადად საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები ხასიათდებიან თუ არა ევროსკეპტიციზმით?

2) კონკრეტულად რომელი ქართული პარტია(ები) გამოირჩევა ყველაზე მეტი ევროსკეპტიციზმით? და კონკრეტულად მათ მიერ განხორციელებული რომელი ნაბიჯები მიანიშნებს ამაზე? და ასევე რაც ყველაზე მნიშვნელოვანია რა განსაზღვრავს ქართული პარტიების ევროსკეპტიკურ განწყობებს?

3) რა გავლენას ახდენს ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესზე არსებული ევროსკეპტიკური განნწყობები?

4) თქვენი აზრით არის თუ არა ქართული საზოგადოება ევროსკეპტიკური? თუ არის რატომ და სად ვლინდება? რითია ნასაზრდოვები? რა განაპირობებს მათ ევროსკეპტიკურობას?

5) ქართული პოლიტიკური პარტიების განცხადებების შესწავლამ 2021-2023 წლებში აჩვენა, რომ „ქართული ოცნების“ რიტორიკა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ შედარებით , უფრო მეტად ევროსკეპტიკურია, ხოლო კავკასიის ბარომეტრის 2021 წლის მონაცემებს თუ დავეყრდნობით, ნდობა ევროკავშირისადმი და ზოგადად მასში გაწევრიანების შესახებ არსებული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები ხასიათდებიან თანაბარი ნდობის პროცენტული მაჩვენებლითა და ასევე თანაბარი პროცენტული მაჩვენებლით სკეპტიკურად განწყობილ მხარდამჭრებში. რით შეიძლება აიხსნას აღნიშნული შემთხვევა?

6) რას ფიქრობთ, რაში ხედავთ გამოსავალს იმისათვის, რათა ქვეყანამ შეასრულოს არსებული მოთხოვნები და გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი?

7) რას დაამატებდით?